ISSN 1987-5355

#35
2010
June, Jule

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN



ბოტანიკის ინსტიტუტი და ჰერბარიუმი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე

Institute of Botany and Herbarium in Botanical Garden



„სათაფლიის დაცული ტერიტორიის" პროექტი

Sataplia Reserve Project



„მშვიდობის ხიდი"

Bridge of Peace



მედიქლაბჯორჯია

MediClubGeorgia



არქიტექტურა ინტელექტუალური და სულიერი

Intellectual and Spiritual Architecture

*Construction of huge glazed pedestrian Bridge of Peace started in old Tbilisi in November 2009. The project, funded from municipal budget, cost 12.5 million lari. The bridge weighs 760 tons and is 156 meters long; this unusual construction (usually, the bridge is rather associated with streets, though this roofed bridge leaves an impression of a complete building) is illuminated with 50 thousand lamps at night...*



*On April 8 2010, President of Georgia Mikheil Saakashvili awarded 16 prominent representatives of different professions – Guram Dochanashvili, Manana Doijashvili, Alexander Rondeli, Fridon Todua, Revaz Gagua, Dimitri Eristavi, Tamaz Chkhenkeli, Besik Kharanauli, Lamara Margvelashvili, Dodo Kikalishvili, David Ninidze, Ekaterine Mikadze and several architects: Vaja Orbeladze, Gaga Kiknadze, Levan Mushkudiani and Michele De Lucci – with newly-established Order of Excellence for special contribution to country development.*

სტილი

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი




AGENT IN GEORGIA
ახალი ნათება
NEW LIGHT

დ. აღმაშენებლის ხეივანი მე 12 კმ.
ტელ: (+995 32) 596 596, ფაქსი: 596 599

დიღომის ქ. 6
ტელ/ფაქსი: (+995 32) 348 530

ა. წერეთლის 116
ტელ/ფაქსი: (+995 32) 503 59

ხოშარაულის ქ. 34, ბლოკი 49
ტელ: (+995 32) 152 032

ა. ყაზბეგის გამზ. 25ა
ტელ: (+995 32) 391 867
(+995 32) 311 708
ფაქსი: (+995 32) 311 611

ვარკეთილი, ჩელუსკინის 11
ტელ/ფაქსი: (+995 32) 455 522

გორი, ცხინვალის გზატ. 4
ტელ: (+995 270) 7 35 90
(+995 99) 177 481

ქუთაისი, დ. აღმაშენებლის 7
ტელ/ფაქსი: (+995 231) 3 40 18
(+995 231) 3 40 19

ბათუმი, ჭავჭავაძის გამზ. 21
ტელ/ფაქსი: (+995 888) 222 7 99 8


შ.პ.ს. ინსტა
insta
ელექტრო, ტელეკომუნიკაცია,
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები,
პროექტირება, მონტაჟი
LAPP KABEL STUTTGART
ÖLFLEX FD
ოფისი: თბილისი, ზაქარიაძის ქ. №8.
ტელ.: 20 20 20/21, ფაქსი: 20 20 22.
e-mail: sales@insta.ge
მაღაზია: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას №64
ტელ.: 20 20 23, 39 90 98
e-mail: shop@insta.ge
www.insta.ge

## სარეკლამო კომპანია

# სტილი




www.style-magazine.com.ge

გთავაზობთ:

- გარე რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ვიდეო რეკლამის დამზადება და განთავსება;
- პროექტირება, მშენებლობა, დიზაინი.

**გამომცემელი** - კომპანია **არქიტექტორთა კლუბი, სტილი** და დიმიტრი მოსულიშვილი
**დირექტორი** - ეკა ჯავახიშვილი
**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე
**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე
**თარგმანი** - ნატა ქურთანიძე
**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე
**დიზაინი** - გია ნოზაძე

**PUBLISHER -** Company **ARCHITECTURAL CLUB, STYLE** & Dimitri Mosulishvili
**DIRECTOR -** Eka Javakhishvili
**EDITOR -** Nino Laghidze
**INFORMATION -** Nino Laghidze
**TRANSLATION -** Nata Kurtanidze
**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze
**DESIGN** - Gia Nozadze

კომპანია "სტილი", კომპანია არქიტექტორთა კლუბი"
0160 თბილისი, პეკინის ქ. N33
ტელ/ფაქსი: 37-26-34.
მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

33 Pekini Str., 0160 Tbilisi, Georgia.
Tel/fax: (+995 32) 37-26-34
Mob: (+995 77) 44-86-00, (+995 93) 42-74-73

http://www.style-magazine.com.ge
E-mail: inbox@archistyle.ge

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტურულ-დიზაინერული ჟურნალი "სტილი" კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

CAPAROL GROUP

www.caparol.ge

IAA INTERNATIONAL ARCHITECTURAL AWARD

სტილი
ჟურნალი

# საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი 2010



კონკურსში მონაწილე ქვეყნები

Afghanistan Armenia Azerbaijan Estonia Latvia Lithuania Belarus Bosnia & Herzegovina Bulgaria Croatia Cyprus Czech Republic Georgia Greece Hungary Israel Kazakhstan Lebanon FYR of Macedonia Palestine Poland Romania Russia Serbia Montenegro Slovak Republic Slovenia Syria Tajikistan Turkey Ukraine Uzbekistan

www.style-magazine.com.ge

2010 წლიდან ჟურნალი „სტილის“ რედაქციამ, „არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირმა UIA“ და ნაციონალურმა სექციამ „საქართველოს არქიტექტორთა კავშირი“ დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა, მშენებლობის და არქიტექტურის სფეროში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისათვის უკეთ გასაცნობად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე, ჩვენი ეგიდით ცხადდება საერთაშორისო კონკურსი „არქიტექტური პრემია 2010“, რომელიც ჟურნალი „სტილის“ ორგანიზატორობით სისტემატურად ტაარდება 2006 წლიდან და უკვე ტრადიციული ხასიათი მიიღო.

ამჟერად კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) მე-2 რეგიონის 33 ქვეყნის არქიტექტორეები და არქიტექტორთა პროფესიული გაერთიანებები. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე II რეგიონის თითოეულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ყოველი ქვეყნის ადგილობრივი პროფესიული ჟიურის მიერ, საკონკურსო ნომინაციებში შეირჩევა 5 საუკეთესო ნამუშევარი. ეს ნამუშევრები წარმოდგენილი იქნება კონკურსის ვებ-გვერდზე. მეორე ეტაპზე - ამ საუკეთესო ნამუშევრებიდან, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) მე-2 რეგიონის 33 ქვეყნიდან შემდგარი საერთაშორისო პროფესიული ჟიური გამოავლენს საუკეთესოთა შორის საუკეთესო ნამუშევრებს, არქიტექტურის 24-ე საერთაშორისო კონგრესზე წარსადგენად, რომელიც ჩატარდება ტოკიოში 25.09-01.10 2011 წელს.

**In 2010, editorial house of STYLE Magazine and Union of Architects of Georgia, the national section of the International Union of Architects, established cooperation aiming at promotion of new developments and processes in the spheres of architecture and construction.**

**Considering the above, we would like to announce opening of international competition Architectural Award 2010, which is systematically organized by STYLE Magazine since 2006 and already became a tradition.**
**This time, Architectural Award will be arranged with participation of architects and professional architectural organizations from 33 countries of the 2nd UIA region. The competition will comprise two stages. Initially, 5 best competition entries will be selected locally in each participant country. National competition winner projects will be published at Architectural Award website. The second stage competition will identify the best projects from among national competition winners with the goal of presenting them at the 24th International Architectural Congress to take place in Tokyo on September 25-October 1 2011.**

Tel./Fax. +995 32 372 634 Mob. +995 93 427 473



MIZAR S.r.l.
Via Bosco,1
31050 Badoere di Morgano(TV)
Italy
Off.: +39 0422 839442
Fax: +39 0422 839432
Mob:+39 348 5904352
Mail: giargikhundaze@mizarlighting.com
www.mizarlighting.com

www.style-magazine.com.ge




„არქიტექტორთა კლუბის“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერე-სოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერე-სი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
პეკინის ქ. 33
ტელ./ფაქსი: +995 32 37 26 34.
მობ: +995 93 42 74 73
E-mail: nino@style-magazine.com.ge
www. style-magazine.com.ge

"Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects" - Book

Project organizers: STYLE Magazine, Architects' Club

"Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects" is only the beginning of our project. We started work on the sec-ond volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
33 Beijing Street, Tbilisi, Georgia;
Tel/fax: +99532-372624
Mobile: +99593-427473
E-mail: nino@style-magazine.com.ge
www.style-magazine.com.ge

## მზადდება წიგნის მეორე ნაწილი:
## «თანამედროვე ქართველი არქიტექტორები»

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს დაგვიკავშირდით:

E-mail: nino@style-magazine.com.ge

Tel./Fax. +995 32 372 634 Mob. +995 93 427 473




www.antoniolupi.it



www.antoniolupi.it



www.jacuzzi.eu



www.sicis.com



# HERBOVITAL2

THEFANTASTICWAYWELIVE

www.jacuzzi.eu



www.devon-devon.com



22 Metekhi str.
0103 Tbilisi Georgia
Tel.: +995 32 273300
Fax.: +995 32 747121
www.herbovital.eu
e-mail: info@herbovital2.com.ge

www.arlexsrl.com



www.devon-devon.com



www.gessi.com



www.jacuzzi.eu



www.sicis.com



სარეკლამო გვერდი

www.style-magazine.com.ge

არქიტექტურული
კლუბი



Architectural
club

e-mail: nino@style-magazine.com.ge

Tel./Fax. +995 32 372 634
Mob. +995 93 427 473

დეკორატიული, კონსტრუქციული და მხატვრული ლესვა







თქვენი სურვილი რეალობაა

საქართველო, თბილისი 0179
ვ. ანჯაფარიძის ქ. 2ა
ტელ.: +(995 32) 22 54 32
+(995 90) 90 55 40
E-mail: decor@decorlines.ge
www.decorlines.ge



www.style-magazine.com.ge
Style Magazine - Windows Internet Explorer
STYLE magazine
არქიტექტორთა კლუბი
CONTEMPORARY GEORGIAN ARCHITECTS
www.style-magazine.com.ge
893 427 473

# სარჩევი

# Content

ქალაქი
CITY



საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდნენ
Presidential Awards 14


„სათაფლიის დაცული ტერიტორიის" პროექტი
Sataplia Reserve Project 16


ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი
Niko Berdzenishvili Museum of History and Ethnography in Kutaisi 20


მონასტრის უძველესი მარანი
The ancient Wine-cellar of Monastery 22


ბოტანიკის ინსტიტუტი და ჰერბარიუმი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე
Institute of Botany and Herbarium in Botanical Garden 30


მედიქლაბჯორჯია
MediClubGeorgia 34


თბილისის ყველაზე პრესტიჟული ბიზნესცენტრი
The most prestigious business-center in Tbilisi 40


ტაძარი
St. George Church 42





# სარჩევი
# Content




არქიტექტურა ინტელექტუალური და სულიერი
Intellectual and Spiritual Architecture 44

## ჩვენი მეგობრები
## OUR FRIENDS



Agencia de Arquitectura 50



ლუდოვიკ დიუპონი
LUDOVIC DUPONT 54



Aquariumdesign 58



რეგიონალური ფესტივალი და საერთაშორისო კონფერენცია
Regional Festival and International Conference 62

## ინტერიერი
## INTERIOR



საცხოვრებელი სივრცის რეალიზაცია
Living Space for a Particular Family 64



რთული დიალოგი წარმატებით შედგა
Successful Dialogue Complex 68



ესთეტიკური ცენტრი
Esthetic Centre 72



ფაიფურის სახლი
The Porcelain House 76



თუ საიდი
Two Side Club-Restaurant 80



კომფორტი სიმყუდროვეში
Comfort and Serenity 82



Brand shop 85



დიზაინერული კოლაჟი
Design Collage 86



ექსკლუზიური გარემო
Creating environments 90



კომფორტი და სისადავე
Comfort and Simplicity 94



დომინანტი სივრცეში
Dominant in space 98

# საუკეთესო აქსესუარები
# საუკეთესო საცხოვრებელი სივრცისთვის

ჰაფელე გთავაზობთ გადაწყვეტილებებს ნებისმიერ ტიპის სივრცისთვის, გერმანული ტექნოლოგიითა და Know-How-თი. ესტუმრეთ ჩვენს მაღაზიას თბილისში და გაეცანით ფურნიტურის ფართო არჩევანს კონკურენტუნარიანი ფასით.

ავეჯის კოპები, კარის სახელურები, განათების სისტემები, სამზარეულოს, კარადების, საკუჭნაოსა და სასაწყობო სივრცის მოსაწყობი მექანიზმები, მიმმართველები, მოსრიალე კარის სისტემები.











HÄFELE

www.hafele.ge

# HÄFELE თბილისში!

უმაღლესი ხარისხის ავეჯის აქსესუარები და სამშენებლო დეტალები თქვენს გვერდით




HÄFELE

ჰეფელე საქართველო: +995 32 34-61-23 / +995 32 34-61-27 / +995 32 34-61-52
თბილისი, 0154, აგლაძის ქ. 7

www.hafele.ge






HÄFELE

ჰეფელე საქართველო: +995 32 34-61-23 / +995 32 34-61-27 / +995 32 34-61-52
თბილისი, 0154, აგლაძის ქ. 7

www.hafele.ge

# სარჩევი
# Content




სტილისტური მთლიანობა
Stylistic Integrity 102



დიზაინის ესთეტიკური ნიუანსები
Aesthetic Components of Designe 106



ENNEZERO 110



"წეროვნის ფოტოდღიურები"
Tserovani Photo Diaries 112



სალვადორ დალი წინანდალში
Salvador Dali in Tsinandali 114



არაჩვეულებრივი გამოფენა"
An Unusual Exhibition 116



თბილისის გეოფიზიკის ობსერვატორია და არქიტექტურა
Geophysical Observatory in Tbilisi 118



ვულოცავთ იუბილარს!
Happy Anniversary! 120



Decor Lines პრეზენტაცია
Presentation of Decor Lines 120





ქალაქი

CITY

# საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდნენ



2010 წლის 8 აპრილს დღის პირველ ნახევარში, ავლაბრის რეზიდენციაში, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, „ქვეყნის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“, „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი“ გადასცა, საზოგადოებისთვის ცნობილ, სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ 16 მოღვაწეს: გურამ დოჩანაშვილს, მანანა დოიჯაშვილს, ალექსანდრე რონდელს, ფრიდონ თოდუას, რევაზ გაგუას, დიმიტრი ერისთავს, თამაზ ჩხენკელს, ბესიკ ხარანაულს, ლამარა მარგველაშვილს, დოდო კიკალიშვილს, დავით ნინიძეს, ეკატერინე მიქაძეს და მათ შორის **არქიტექტორებს: ვაჟა ორბელაძეს, გაგა კიკნაძეს, ლევან მუშკუდიანს, მიქელე დე ლუკს.**

ალსანიშნავია, რომ ბრწყინვალების ახალი საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოების ცერემონია ამ დღეს პირველად გაიმართა.











# Presidential Awards

On April 8 2010, President of Georgia Mikheil Saakashvili awarded 16 prominent representatives of different professions – Guram Dochanashvili, Manana Doijashvili, Alexander Rondeli, Fridon Todua, Revaz Gagua, Dimitri Eristavi, Tamaz Chkhenkeli, Besik Kharanauli, Lamara Margvelashvili, Dodo Kikalishvili, David Ninidze, Ekaterine Mikadze and several **architects: Vaja Orbeladze, Gaga Kiknadze, Levan Mushkudiani and Michele De Lucci - with newly-established Order of Excellence for special contribution to country development.**

# Bridge of Peace

Construction of huge glazed pedestrian Bridge of Peace started in old Tbilisi in November 2009. The project, funded from municipal budget, cost 12.5 million lari. The bridge weighs 760 tons and is 156 meters long; this unusual construction (usually, the bridge is rather associated with streets, though this roofed bridge leaves an impression of a complete building) is illuminated with 50 thousand lamps at night.

As regards Michele De Lucci, author of this new bridge – he is a famous Italian architect designer. We believe that having studied historical and cultural context of Tbilisi, its perspectives and development axes, the experienced architect decided to add a modern highlight to the historic background.

Michele De Lucci's glass and iron masterpiece connects left and right banks of Mtkvari (Rike and Sioni Cathedral areas). As we already mentioned, the bridge is pedestrian. According to architect Michele De Lucci, the Bridge of Peace will become a cultural symbol of Tbilisi.

The bridge was built by Italian company "Perma Steliza".

Using this opportunity, we would also like to inform you that a new 1270 m. tunnel was built to connect Rike area from Baratashvili Bridge with Ortachala hydropower station area in order to relieve the overground traffic in Tbilisi.

After completion of reconstruction works, the whole Rike area will be pedestrian, which will enable construction of cafes, bars, a leisure park and amphitheater there.







# „მშვიდობის ხიდი"

თბილისის ძველ უბანში უზარმაზარი, შუშის საფეხმავლო „მშვიდობის ხიდი" დაიდგა, ხიდის მშენებლობა 2009 წლის ნოემბერში დაიწყო. იგი 12 მლნ 500 ათასი ლარი დაჯდა. აღნიშნული თანხა ქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყო. ხიდი 760 ტონიანია, ხოლო სიგრძე - 156 მეტრს შეადგენს, უჩვეულო ნაგებობა (ცნობილია, რომ ხიდი ქუჩის ნაწილია და არ არის შენობა. მოცემულ შემთხვევაში კი გადახურული კონსტრუქცია შენობის შთაბეჭდილებას ტოვებს) ღამე 50 ათასი თანამედროვე ნათურით ნათდება.

რაც შეეხება ჩვენს ქალაქში ახლადდადგმულ „მშვიდობის ხიდის" ავტორს, მიკელე დელუკის, ის, ცნობილი იტალიელი არქიტექტორ-დიზაინერია. სავარაუდოა, რომ გამოცდილმა არქიტექტორმა ქალაქის ისტორიული და კულტურული კონტექსტის, პერსპექტივების, არსებული და ძირითადი ღერძების გათვალისწინებით, ჩართო ახალი ძველში.

რკინისა და მინის კონსტრუქცია, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს - რიყისა და სიონის მიმდებარე ტერიტორიას აკავშირებს. იგი როგორც ავღნიშნეთ, ფეხით მოსიარულეებისთვის არის განკუთვნილი. არქიტექტორის მიქელე დე ლუკის განცხადებით - "მშვიდობის ხიდი" თბილისის ცივილიზებული სიმბოლო გახდება.

ცნობისთვის, რიყეზე, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, ბარათაშვილის ხიდიდან ორთაჭალჰესამდე 1270 მეტრი სიგრძის გვირაბი აშენდა, რომელიც თბილისში ავტომანქანების მოძრაობას განტვირთავს. რიყის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ, იგი მთლიანად საფეხმავლო გახდება, რაც საშუალებას იძლევა, აღნიშნულ ტერიტორიაზე დასასვენებელი პარკი, კაფე-ბარები და ამფითეატრი მოეწყოს.











# „სათაფლიის დაცული ტერიტორიის" პროექტი



არქიტექტურულ-დიზაინერული ფირმა შ.პ.ს. "ქართული პროექტი"
მთ. არქიტექტორი: გ. ჭყუასელი.
პროექტის ავტორები: ნ. ჭურაძე, ყ. მეფარიშვილი, მ. გოლიაძე, ი. ბუჯიაშვილი, ნ. ჯობაძე, ყ. გვასალია, ი. ჩოჩია.
თანაავტორები: თ. ალხაზაშვილი, ვ. ტაბატაძე, თ. დვალი, ნ. მაისურაძე, თ. სხირტლაძე.



სათაფლიის ნაკრძალში შესასვლელი
ENTRANCE TO SATAPLIA RESERVE

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებული დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, 2010 წლის ბოლოს, სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვება. არქიტექტურულ-დიზაინერულმა ფირმამ - შ.პ.ს. ,,ქართული პროექტი'' სათაფლიის სახელმწიფო დეპარტამენტთან და სამშენებლო კომპანია Industry Company - თან შეათანხმებით შეიმუშავა სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის პროექტი - ,,სათაფლიის დაცული ტერიტორია''.

ნაკრძალის ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელებისათვის 3,5 მილიონი დოლარის ღირებულების გრანტია გამოყოფილი. ამ პროექტის განხორციელებით, საქართველოს დაცულ ტერიტორიებს შეემატება კიდევ ერთი, აბსოლუტურად ახალი ტიპის დაცული ტერიტორია, რომელიც მრავალსაუკუნოვან ისტორიას მოიცავს.

2010 წლის მაისის თვეში სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში ინფრასტრუქტურის პროექტის განსახორციელებლად პირველ სამშენებლო სამუშაოების დაწყებას საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი. პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტი ესწრებოდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საძირკვლის ჩასხმის პროცესში.

მიმდინარე ტურისტულ სეზონში სათაფლიის ნაკრძალი დამთვალიერებლებისთვის დაიხურება, რადგან მისი ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია ნოემბრისთვის უნდა დასრულდეს. ნაკრძალამდე მისასვლელი გზა უკვე შეკეთებულია. მიმდინარეობს შიდა ბილიკების კეთილმოწყობა, კეთდება ავტოსადგომი, იდგმება სალაროები.

პროექტით გათვალისწინებულია ნაკრძალის ცენტრალური შესასვლელის მოწყობა. რაც მთავარია, დინოზავრების ნაკვალევი მსუბუქ პავილიონში იქნება მოქცეული, რაც უზრუნველყოფს მის დაცულობას. ნაკვალევის კონსერვაციაში მოქცევა ის პრობლემაა, რომელიც აქამდე მწვავედ იდგა მრა-







კაფე. CAFЙ



შენობა დინოზავრის ნაკვალევის კონსერვაციისთვის
THE CONSTRUCTION PROTECTING DINOSAUR FOOTPRINT



ვალი წელის განმავლობაში. მსუბუქი, სტრუქტურული კონსტრუქციით გადახურული ნაგებობა კი ნაკვალევს ყინვისა და წვიმისგან დაიცავს.

რაც შეეხება თვით კარსტულ მღვიმეს, რადგან მას ტემპერატურის ცვალებადობა ანადგურებს, ამიტომ სავალდებულოა მისი ჰერმეტიზაცია. ამდენად მღვიმის შესასვლელსა და გამოსასვლელში აიგება ორმაგი, ასევე სივრცითი კონსტრუქციის შემინული შლუზები. დაგეგმილია მღვიმეში არსებული სავალი ბილიკის რეკონსტრუქცია. მღვიმე აღიჭურვება ფერადი განათებით და აუდიოეფექტებით.

ტერიტორიაზე შენდება კაფეტერია. აქვე იქნება საგამოფენო დარბაზი - პალეონტოლოგიური მუზეუმი, სადაც დამთვალიერებელი მიიღებს სრულ ინფორმაციას სათაფლიის ნაკრძალის უნიკალურობაზე. წარმოდგენილი იქნება, ეტაპობრივად, მილიონობით წლის მანძილზე მიმდინარე პროცესები.

ნაკრძალის ტერიტორიაზე აშენდება, ასევე ვიზიტორთა ცენტრი - ადმინისტრაციული შენობა - სასტუმროთი, რესტორნითა და საკონფერენციო დარბაზით.

მნახველმა ცოცხლად, რომ აღიქვას ნაკვალევის მნიშვნელობა და წარმოშობა, მოეწყობა იურული პერიოდის პარკი, სადაც განთავსდება დინოზავრების მოდელები. ტერიტორიაზე სასეირნო ბილიკებისა და საპიკნიკე ადგილების მოწყობაცაა დაგეგმილი.

მღვიმის თავზე მოეწყობა გადასახედი, საიდანაც გამოჩნდება ქუთაისისა და გელათის ხედი. გამჭვირვალეიატაკიანი გადასახედი 500 მეტრის სიმაღლეზე იქნება დაკიდებული.

ტერიტორიის სიღრმეში ბავშვებისთვის კეთდება გასართობი მოედანი, მოსწავლეებისთვის მოეწყობა საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნება ღია გაკვეთილებისა და კონფერენციების ჩატარება.

სათაფლიის მღვიმე, - უნიკალურია. სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე მეტი ტურისტი სათაფლიის ნაკრძალს სტუმრობს. ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს, ეს კი მრავალი სხვა დამატებითი შემოსავლის წყაროა.

*„იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები“ შეიქმნა 2007 წელს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე. მისი შექმნის მიზანია უნიკალური პალეონტოლოგიური და სპელეოლოგიური ბუნების ძეგლების დაცვა და განვითარება.*

*2009 წლის 16 მარტს იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები მსოფლიოს მღვიმეთა ასოციაციის წევრი გახდა.*

*იმერეთის მღვიმეების კომლექსის მღვიმეთა საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანება ხელს შეუწყობს მღვიმეების მართვისა და დაცვის საკითხებში ტექნიკური დახმარების მიღებას.*



შლუზები მღვიმის შესასვლელთან
LOCK GATES AT THE CAVE ENTRANCE









*Architectural design company Georgian Project Ltd.*
*Chief architect: G. Chkuaseli; project authors:*
*N. Churadze, K. Meparishvili, M. Goliadze, I. Bujiashvili, N. Jobadze, K. Gvasalia, I. Chochia*
*Co-authors: T. Alkhazashvili, V. Tabatadze, T. Dvali, N. Maisuradze, T. Skhirtladze*

# Sataplia Reserve Project



ვიზიტორთა ცენტრი სასტუმრო, რესტორანი, ადმინისტრაცია
VISITORS' CENTER – HOTEL, RESTAURANT, OFFICES





Agency of Protected Areas at the Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia took a decision to update infrastructure of Sataplia Nature Reserve. Based on mutual cooperation agreement, reached by the Agency and construction company "Industry Company", Sataplia Reserve infrastructure upgrade project was developed by architectural design company Georgian Project Ltd.

Development of Sataplia Reserve infrastructure is funded by a 3.5 million USD grant. When this project is realized, Sataplia, conveying million years of natural history, will transform into a nature reserve of new type.

Construction works under the project started in May 2010. Launching ceremony was attended by President of Georgia, who took active part in laying of the foundation.

In the upcoming tourist season Sataplia Reserve will be closed down, because full rehabilitation of its infrastructure has to be finished by November 2010. Access road leading to the reserve is already overhauled; at the time being, pathways, parking lot and ticket boxes are arranged within the Reserve.

Under the project Sataplia Reserve with be equipped with a central gateway; a pavilion with glass roof will be built around the dinosaur's footprint for better conservation. Sataplia cave will be protected from dam-





ვიზიტორთა ცენტრი სასტუმრო, რესტორანი, ადმინისტრაცია
VISITORS' CENTER – HOTEL, RESTAURANT, OFFICES



გადასახედი. VANTAGE POINT





aging temperature fluctuations by double glazed lock gates set up at the entrance and exit; special walkways will be arranged inside the cave to facilitate touring and save up visitors' time. Reserve territory will also be provided with a cafeteria, an exhibition hall / paleontological museum, providing full information about the unique features and natural history of Sataplia Reserve, an office building, a visitor center with hotel, restaurant and conference hall. A vantage point offering panoramic view of Kutaisi and Gelati will be arranged above the cave – this construction with glass floor will be protruding from the rock at 500 m. height. A Jurassic Park with moving dinosaur models will be set up as a thematic complement to the dinosaur's footprint. Children and school pupils will be able to play in the game court and visit the education center, arranged specially for open lessons and conferences. The territory will also contain promenades and picnic points.

Sataplia cave is a unique natural monument, frequented by tourists. Advanced infrastructure will further increase the public interest toward this place and offer numerous income-generation opportunities.

*"Imereti Cave Reserves" was founded in 2007 at Sataplia State Nature Reserve with the goal of protecting and developing unique paleontological and speleological natural monuments.*

*On March 16 2009 "Imereti Cave Reserves" joined International Show Caves Association in order to facilitate access to monument protection, management and technical servicing expertise.*











პალეონტოლოგიური მუზეუმი
PALEONTOLOGICAL MUSEUM





# ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

არქიტექტურულ-დიზაინერული ფირმა
შ.პ.ს. "ქართული პროექტი"
მთ. არქიტექტორი: გ. ჭკუასელი.
პროექტის ავტორები: ნ. ჭურაძე,
კ. მეფარიშვილი, მ. გოლიაძე,
ი. ბუჯიაშვილი, ნ. ჯობაძე.
პროექტის კონსულტანტები:
ი. შტორმერი, ნ. ვაჩეიშვილი

ქუთაისში, მიმდინარე წლიდან, ქალაქის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დაიწყო, .რომელიც ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციასაც ითვალისწინებს.

რეაბილიტაციაზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარია გამოყოფილი. აქედან 4 მილიონი ლარი საპროექტო სამუშაოებს მოხმარდება.

მოედანზე ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი აიგება, ვინაიდან არსებული მუზეუმის ძველ შენობას (ისტორიული ნიშნის მქონე ნაგებობა; 1000კვ.მ) სათანადო პირობები არ გააჩნია და ნახევარ მილიონზე მეტი ექსპონატი სხვადასხვა შენობაშია განთავსებული.

მუზეუმის საპროექტო სამუშაოები არქიტექტურულ-დიზაინერული ფირმის შ.პ.ს. ,,ქართული პროექტი'' მიერაა შესრულებული სამშენებლო კომპანია Industry Company-ს დაკვეთით. ექსპოზიციაზე, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ქართულ ფირმასთან ერთად უცხოელი სპეციალისტებიც მუშაობენ. მუზეუმის კომპლექსი ერთ არქიტექტურულ მთლიანობას წარმოადგენს, რამდენიმე საექსპოზიციო თუ ადმინისტრაციულ ახალ მოცულობას და არსებულ შენობას მოიცავს - მისი საერთო ფართი 10000კვ.მ.-ია.

საექსპოზიციო მოცულობების თუ მონაკვეთების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. თანამედროვე კომუნიკაციებით, ტექნიკით და აპარატურით (განათების, კონდიცირების, ვენტილაციის სისტემები) აღჭურვილ ,,ეთნოგრაფიულ სივრცეში“ სულ მალე, მთელი დასავლეთ საქართველოს საექსპოზიციო მონაპოვარი წარმოჩინდება.















# Niko Berdzenishvili Museum of History and Ethnography in Kutaisi

*Architectural design company Georgian Project Ltd.*
*Chief architect: G. Chkuaseli; project authors: N. Churadze, K.Meparishvili, M. Goliadze, I. Bujiashvili, N. Jobadze*
*Project consultants: I. Stomer, N. Vacheishvili*

Second stage rehabilitation works in Kutaisi started in 2010. Total cost of this project (funded from the central governmental budget) reaches 20 million lari, of which 4 million are allocated for project design. Second stage rehabilitation works imply reconstruction of central square of Kutaisi.

Central square rehabilitation also covers Niko Berdzenishvili Museum of History and Ethnography. As the existing museum facility (historical construction with total area of 1000 sq. m.) did not satisfy museum requirements any longer, more than half a million of museum exhibits were scattered in different buildings.

New museum project was developed by architectural design company Georgian Project Ltd. based on archive materials in cooperation with foreign specialists. The new museum (total area – 10000 sq. m.) will comprise several exposition and administrative facilities, including the existing building.

Museum complex contains several interesting design themes, systemized around exposition areas. “Ethnographic space” equipped with up-to-date communications and equipment (lighting, air conditioning, ventilation systems) will soon house the historical exhibits from all over the West Georgia.











# მონასტრის უძველესი მარანი



ალავერდის მონასტერი, VI საუკუნეში დააარსა იოსებ ალავერდელმა, ერთ-ერთმა 13 ასურელ მამათაგანმა. დღეს არსებული წმ. გიორგის ტაძარი XI ს-ის პირველ მეოთხედში ააგო კახთა მეფე, კვირიკე დიდმა, ძველი პატარა ეკლესიის ადგილას. ალავერდი საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი საკათედრო ტაძარია (41,7 მ X 26,4 მ), ტაძრის სიმაღლე - 50 მეტრზე მეტია. იგი, XI ს-დან საეპისკოპოსო ცენტრი და ეპარქიის მღვდელმთავართა რეზიდენცია იყო. საქართველოს დაშლის შემდეგ ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავარი მთელი კახეთის მწყემსად ითვლებოდა. მას მაღალი საეკლესიო ტიტული ჰქონდა - მიტროპოლიტი. ამავე დროს, როგორც მონასტრის წინამძღვარი, ალავერდელი მიტროპოლიტი „აბბა“-ს საპატიო წოდებასაც ატარებდა. ამავე საუკუნიდან ალავერდის ტაძარი კახეთის სამეფო სახლის საძვლედაც იქცა.

ალავერდის წმ. გიორგის საკათედრო ტაძარი მრავალჯერ






პროექტის ავტორები - არქიტექტორები:
გია ჭანჭალეიშვილი, პაატა ნუცუბიძე, ვახტანგ ჭელიძე, ზაზა სვანაძე

PROJECT'S AUTHORS - ARCHITECTS:
GIA CHANCHALEISHVILI, PAATA NUTSUBIDZE, VAKHTANG CHELIDZE, ZAZA SVANADZE






დაზიანებულა მომხდურთაგან და მიწისძვრებისგან. მისი პირველი დიდი რესტავრაცია ალექსანდრე კახთა მეფის დროს, XV საუკუნის 80-იან წლებში ჩატარდა. 1742 წ. მიწისძვრის დროს დაზიანებული ალავერდის რესტავრაცია დაიწყო დედოფალმა თამარმა (1750 წ.) და დაამთავრა ერეკლე II-მ. ტაძრის ყველა აღდგენილი ნაწილი აგურით არის ნაგები. XIX საუკუნის ბოლოს ალავერდის ტაძარი შიგნით მთლიანად შეათეთრეს. კედლების გაწმენდის შემდეგ (1966 წ.) გამოვლინდა მხატვრობის რამდენიმე ფენა: პირველი და უმნიშვნელოვანესია XI საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები. სამხრეთის მკლავის კედლებზე შემორჩენილია XV-XVI საუკუნეების, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე XVI-XVII საუკუნეების ფრესკები. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი არაერთხელ შეკეთდა, მან მაინც შეინარჩუნა პირვანდელი სახე. ეს არის ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ტაძარი. იგი ნაშენია შირიმის ქვის დიდი კვადრებით და რიყის ქვით. ნაგებობა გადახურული ყოფილა ცისფრად მოჭიქული დიდი ზომის თიხის ლორფინის ფილებით, რომელთა ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი, შემორჩენილია აგრეთვე წარწერები.

თავდაპირველად ალავერდი მამათა მონასტერი იყო. XVII-XVIII საუკუნეებში კი აქ დაარსდა დედათა მონასტერი, სადაც მონაზვნად აღკვეცილი სამეფო ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. ალავერდი ლიტერატურული საქმიანობის მძლავრი კერაც იყო. აქ მოღვაწეობდნენ ქართველი მწერლები, კალიგრაფები, მწიგნობარნი.

დღესდღეობით ალავერდის კომპლექსი ალავერდის ეპარქიის მთავარი მონასტერია, სადაც განთავსებულია მღვდელმთავრის რეზიდენცია და კათედრა. აქ, კვლავ მამათა მონასტერი ფუნქციონირებს. ალავერდის ეპარქიის წინამძღოლია აბბა ალავერდელი, მიტროპოლიტი მეუფე დავითი (მახარაძე).

ალავერდის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში, რომელსაც გარშემორტყმული აქვს გალავანი (XVII-XVIII სს.), გაერთიანებულია სხვადასხვა დროის ნაგებობები: პალატი (სასახლე), რომელიც საქართველოს ამ ტიპის ნაგებობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და თითქმის უცვლელად შემონახული, სამსართულიანი შენობაა. მისი ქვედა სართული - დიდი ზომის გუმბათოვანი დარბაზი, XVI-VII საუკუნეებში სატრაპეზო ყოფილა; 1615 წლის ახლო პერიოდშია აგებული ფეიქარ-ხანის აგურის

















საგრილობელი. მისი მთავარი, გუმბათით გადახურული, რვაწახნაგა სადგომი (შადრევნით), ფართო თაღებით გახსნილი ნაგებობაა, რომელზედაც დაბალი, კვადრატული ოთახია მიშენებული; სამრეკლო (სამხრეთ შესასვლელზე XIX საუკუნეში სამრეკლოს ცილინდრული ფანჩატური დააშენეს. როგორც ჩანს სამრეკლო ამ ადგილას მდგარა, რომლისგანაც შემორჩა ქვედა კუბური ფორმის ნაწილი); მარანი (ტაძრის ჩრდილოეთით კედლის პარალელურად, დაახლოებით 50 მ-ზე დგას.), არის სხვა საცხოვრებელი ნაგებობებიც, აგრეთვე აბანო. იგი მდებარეობს გალავნის გარეთ, ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 80 მეტრზე. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით.

ალავერდი საქართველოში ერთ-ერთი წმინდა ადგილი და კულტურული ცენტრია. იგი საქართველოს აღმშენებლობის მნიშვნელოვანი სიმბოლოა. ალავერდის ხუროთმოძღვრულ კოპლექსს, საეპისკოპო ცენტრს, ხალხური რეწვის და კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებების მოწყობის ადგილს დიდი პოტენციალი აქვს. ამიტომ, მისი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის გადაწყვეტილებისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ალავერდის რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელებას. პროგრამის კოორდინაცია და საპროექტო სამუშაოები, განახორციელა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და კომპანიამ „ბადაგონი“.

პროექტი მოიცავდა არა მხოლოდ ისტორიული ნაგებობების აღდგენა-შეკეთებას, არამედ ჰოლისტიკური მიდგომით კომპლექსის, როგორც ერთიანი ურბანულ-არქიტექტურული მთლიანობის განვითარებას. ამიტომ რეაბილიტაციის პროექტში გარდა ისტორიულ ნაგებობათა რესტავრაცია-რეაბილიტაციისა, მოქცეული იქნა მათი ადაპტაცია თანამედროვე ურბანულ ქსოვილში; შერჩეულ არეალებში, როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რითაც ისტორიული ნაგებობები დაცულია სინესტისა და სხვა სახის დაზიანებებისაგან. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ძველ იერს უბრუნებს, ზრდის მის მიმზიდველობას.

საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის გადაწყვეტილების და საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის საფუძველზე, 2005 წ. ნოემბრიდან დაიწყო ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ფართომასშტაბური სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდნენ: გ. ბოლქვაძე, კ. წერეთელი, მ. ცინდელიანი, არქიტექტორი პ. ნუცუბიძე).

პირველ ეტაპზე ჩატარდა ხუროთმოძღვრული ან-









სამბლის შემადგენელი ნაგებობების არქეოლოგიური კვლევა. კვლევის აუცილებლობას განაპირობებდა ისიც, რომ ვიზუალური თვალსაზრისით ეფექტურად აღქმადი ამ ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილის ნანგრევები ჩამარხული იყო, როგორც საკუთარ სამშენებლო მასალის ნაშთებში, ასევე სხვადასხვა დროისა და გარემოებათა კვალობაზე აქ შემოზიდულ მიწასა და ნაგავში, რაც უხვი მცენარეული საფარით იყო გადაბარდული. არქეოლოგიური შესწავლის საწყის ეტაპზევე გაირკვა, რომ არსებული ნაყარი ფენა ერთიან კულტურულ დანაშრევს კი არ წარმოადგენს, არამედ მთელი რიგი არტეფაქტები თუ ცალკეული ნივთები, მოგვიანებით, ალბათ არა უადრეს XXს-ისა უნდა ყოფილიყო აქ შემოტანილდახვავებული. გალავნის მიმდებარე ტერიტორიები ნაგავსაყრელად გამოიყენებოდა XXს-ის მიწურულამდე, რასაც მოწმობს ნაყარი ფენის ზედაპირზევე და სხვადასხვა სიღრმეზე გამოვლენილი იმ პერიოდის საბჭოური მონეტები, აგრეთვე თანამედროვე ყოფისთვის ტიპიური ნივთები: ლითონის კონსერვის ქილები, საქარხნო დამღიანი ბოთლებისა და ჭიქების ნატეხები, პლასტმასის ნივთები, მანქანა-ტრაქტორების ცალკეული დეტალები, აგრეთვე გასული საუკუნის 70-იან წლებში ალავერდის მონასტერში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებისას გამოყენებული რკინის ასაწყობი ხარაჩოების ცალკეული ნაწილები და სხვა. მას შემდეგ, რაც საკვლევ მონაკვეთზე დაყრილი მიწა და მცენარეული საფარი მოიხსნა, გაირკვა, რომ აქ კედლები, მისი საძირკვლები - გალავანზე, მასში, და მასთან ჩაშენებულ შენობათა ნაწილზე მნიშვნელოვნად დაბალ ნიშნულზე ყოფილა შემორჩენილი. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სრულიად გაიწმინდა სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია. აღსანიშნავია, ის, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად იქნა აღმოჩენილი ახალი ფაქტები: წმინდა მამის - ღირსი იოსებ ალავერდელის საფლავის ადგილმდებარეობის განსაზღვრის დროს, მასთან ერთად სამეფო სასახლის - ნაშთებიც იქნა ნაპოვნი. კომლექსში არსებული ერთ-ერთი ნაგებობა ე.წ. „დაბალი პალატი" სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ალავერდის კომპლექსის ერთ-ერთ უადრეს ნაგებობადაა მიჩნეული. აღმოჩენა სპეციალისტებმა მეექვსე საუკუნით დაათარიღეს. ეს კი, აქ, არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების, ფრიად მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენდა. პალატი ნაწილობრივ რესტავრირებული იქნა. ნაგებობაში განთავსებულია ეპისკოპოსის რეზიდენცია, სატრაპეზო და სხვა დამხმარე აუცილებელი სათავსოები. მალე, აქ ნავსაყუდელს დაიდებს უნიკალური საეკლესიო მუზეუმი.



ალავერდის ტაძრის ახლადრესტავრირებული მარანი ერთ-ერთი ეტაპია იმ დიდი პროექტისა, რომელიც ალავერდის მონასტრის რესტავრაცია-რეკონსტრუქციას ისახავს მიზნად. სამეურნეო საქმიანობები, მათ შორის კი ღვინის დაყენება მონასტრისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტრადიციული საქმიანობა იყო. ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე ვენახებიდან ყურძნის შემოსატანი სპეციალური საურმე გზა ოდითგანვე შემოდიოდა. არქეოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მარანი კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობა იყო და განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სამონასტრო ცხოვრებაში, ამიტომ საერთო პროექტის განხორციელების საწყის ეტაპებზე, მარნის რესტავრაცია- რეაბილიტაცია მოითხოვდა ჯეროვან ყურადღებას. არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. გამოჩნდა მარნის მთელი ინფრასტრუქტურა: რამდენიმე ათეული ქვევრი, წყლის მომარაგების თიხის მილების სისტემა, აგურის რეზერვუარები, რამდენიმე დამხმარე ნაგებობა. სავარაუდოდ, თავის დროზე მარანში 50ტ. ღვინო იწურებოდა. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, მეცნიერული კვლევა, საარქივო მასალების დამუშავება (კედლის წყობა, აგურის ზომა, სარკმლების და ღიობების ფორმა) და სხვა მრავალი არქიტექტურული დეტალი, საშუალებას იძლევა მარანი XVI-XVII სს. დათარიღდეს.



აბბა ალავერდელი მიტროპოლიტის დავითის ლოცვა-კურთხევით გადაწყდა, მარანს დაბრუნებოდა, არა მხოლოდ პირვანდელი არქიტექტურული სახე (რის საშუალებასაც არსებული არქეოლოგიური და არქიტექტურული მასალა სრულად იძლევა), არამედ რესტავრირებული და აღდგენილი ნაგებობა ახალი სულით შთაბერილიყო.

მარნის რეაბილიტაციის პროექტის ავტორები არიან: არქიტექტორები, გია ჭანჭალეიშვილი, ზაზა სვანიძე, ვახტანგ ჭელიძე, პაატა ნუცუბიძე. პროექტი განხორციელდა აბბა მიტროპოლიტის მეუფე დავითის უშუალო ხელმძღვანელობით.



ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა დასახა ამოცანები:

- შეძლებისდაგვარად გადარჩენილიყო და თავისივე ადგილზე დარჩენილიყო ქვევრები, რაც ფაქტიურად შეუძლებელი აღმოჩნდა (თითქმის ყველა ქვევრი დაზიანებული იყო). მოხერხდა უნიკალური ოთხტონიანი ღვინის ქვევრის დაუზიანებლად ამოღება და მარნის წყლით მომარაგების თიხის სისტემის გამოვლენა. მარნის სრული რეაბილიტაციის პროექტიდან გამომდინარე შენარჩუნებული იქნა ყველა არსებული კედელი და ნაგებობა. ის ქვევრები, რომელთა ამოღება ვერ მოხერხდა, მიწით შეივსო (მოხდა მათი რეკულტივაცია);









- უნდა აღდგენილიყო ნანგრევებად ქცეული X ს. მარნის იერსახე, არსებულ სამონასტრო კომპლექსის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში, ისე, რომ არ დარღვეულიყო კომპლექსში განთავსებულ ნაგებობათა ვიზუალური აქცენტები;

- გაცოცხლებულიყო ისტორია - აღსადგენ შენობას დაბრუნებოდა პირვანდელი ფუნქცია, მხოლოდ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი ქვევრის ღვინის წარმოების ტრადიცია. ამავე დროს, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა გამართულიყო ღვინის წარმოებისათვის თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ახალი ტექნოლოგიური ხაზი.

არქიტექტორები აცნობიერებდნენ, რომ ყოველივე ეს უცილობლივ გამოიწვევდა ისტორიული მარნის შიდა სივრცობრივი სტრუქტურის თანმიმდევრულ გადაწყობას, რომელიც შესაბამისად აისახებოდა ნაგებობის გარეგნულ იერსახეზეც.

ამოცანების გადაწყვეტის სირთულეც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ დღევანდელი ტექნოლოგიური პროცესებით ნაკარნახებ შიდა სტრუქტურულ ცვლილებებს არ გამოეწვია იმ კვალისა და ისტორიული ანაბეჭდის წაშლა, რომელის იქნა აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად და ასახავდა ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს - საწური სათავსიდან (საწნახელიდან), ქვევრებამდე.

გარდასულ საუკუნეთა შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია რთული და შრომტევადი პროცესია. ცალკეულ მონაკვეთებზე შენარჩუნებული დეტალების არსებობა თვითმყოფადს ხდიდა სივრცეს, რაც არქიტექტორთა პროფესიონალიზმის მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვდა. პროექტზე მუშაობისას ავტორები სიფრთხილით მოეკიდნენ წარსულის დანატოვარს, მათ ისეთი თანამედროვე არქიტექტონული გადაწყვეტა მონახეს, რომლითაც წარსულისა და აწმყოს ერთიანი გამომხატველობითი სახეა დაფიქსირებული. მარნის სათავსოების ტრადიციული განთავსება თანამედროვე მენტალიტეტითაა ადაპტირებული. გამოკვეთილია ნაგებობის მთლიანი მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიციის თვითმყოფადობა. ინტერიერები სისადავით და კომფორტაბელურობით გამოირჩევა. მშენებლობისას შეძლებისდაგვარად გამოყენებული იყო ტრადიციული ქართული სამშენებლო მასალები; რიყის ქვა, ქართული აგური, ლამი, კირი, თიხის კრამიტი.

მარანი დაიყო პირობითად რამდენიმე ნაწილად: მიმღები, ღვინის ევროპული წესით დაყენების დარბაზი, ქვევრების დარბაზი, კონიაკის და სპირტის დარბაზი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია - ენოთეკა (ღვინის შესანახი დარბაზი). მისი ტექნოლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარე (ტემპერატურული რეჟიმი), გადაწყდა ამ მოცულობის მიწის ქვეშ განლაგება. აქ, მშენებლობისას, გარკვეულ სირთულეებს წააწყდნენ. წყლის დონე ალავერდის მონასტრის მთელ ტერიტორიაზე 1,8 სმ-ზეა. გადაწყდა მიწის ქვეშ აშენებულიყო სპეციალური წყალგაუმტარი რკ./ბეტონის სარკოფაგი - წყალი მიედინება სპეციალურ ჭაში, საიდანაც პომპით ამოიტუმბება და მოიხმარება მონასტის საჭიროებისათვის (მოსარწყავად).

როგორც, აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი მეუფე დავითი ბრძანებს - მოხდა სასწაული - არსებულ სივრცობრივ გარემოში მდგომი (ალავერდის მონასტერი, მიმდებარე ალაზნის ჭალები და ფონად გამყოლი კავკასიონის ქედი) X ს-ის აღდგენილი მარნის, ერთი შეხედვით მცირე ზომის შიდა სრტუქტურულ სივცეში, შესაძლებელი აღმოჩნდა ღვინის წარმოებისათვის საჭირო ორი განსხვავებული ტექნოლოგიური სივრცის (ტრადიციული ქვევრისა და თანამედროვე), არა მარტო განთავსება, არამედ, მათი ჰარმონიული შერწყმაც.

ღვინის წარმოებისათვის საჭირო თანამედროვე დანადგარები და ახალი ტექნოლოგიური ხაზი აისახა უძველესი ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში (აღდგენილი იქნა ძველი ქართული ქვევრის ღვინის დაწურვის წესი, რაც ღვინის ჭაჭა-კლერტზე ხუთ-ექვსთვიან დაყენება-შენახვას გულისხმობს) - XXI საუკუნე დაილექა X საუკუნეში, მოხერხდა განსხვავბული





ტექნოლოგიური პროცესების ურთიერთთანარსებობა. ერთი სიტყვით, ისტორია გაცოცხლდა დღევანდელობაში. ამ ეტაპზე XVI-XVIIსს. მარანი აღდგენილია. იგი ძველი და ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების უნიკალური შერწყმაა.

ალავერდის მარანი საზეიმოდ გაიხსნა 2006 წლის ოქტომბრის თვეში „ბადაგონის“ ერთი წლისთავის აღსანიშნავად. იმედია, რომ უახლოეს ხანებში საქართველოს ყველა მონასტერში განხორციელდება მონასტრისათვის დამახასიათებელი ტრადიციული საქმიანობა.

ისტორიულ მარანში, თითქმის ოთხსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ პირველად დაიწურა ყურძენი. ღვინის სარდაფებში უკვე ინახება საფირმო ღვინო. მონასტრის ტერიტორიაზე ახალი საკოლექციო ნაკვეთი უნდა გაშენდეს, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს უკლებლივ ყველა ვაზის ჯიში იქნება წარმოდგენილი. ეს ნაკვეთი, ახლა, გაშენებულია საფერავის ჯიშის ვაზით - ჭიგოზე (სარზე), რაც ასევე უძველეს ტრადიციას წარმოადგენს. 2010 წელს საქართველოში დაგეგმილი საერთაშორისო ღვინის კონგრესის მონაწილეები ნახავენ ვაზის მოვლის ამ ძველ წესს. ეს არ იქნება ერთჯერადი საჩვენებელი კოლექცია. ეროვნული საგანძურის დაცვა-შენარჩუნებას მონასტერი ბოლომდე შესძლებს.

ნინო ლაღიძე
ფოტო მასალა მოწოდებულია
ალავერდის მონასტრის მონაზონ იოსების მიერ









# The ancient Wine-cellar of Monastery

Alaverdi Monastery was founded in the 6th century by Joseph Alaverdeli, one of the 13 Syrian Fathers. The present-day St. George Cathedral was built in the first quarter of the 11th century by King of Kakheti Kvirike the Great in place of a smaller church. This cathedral (41.7 m wide, 26.4 m long and over 50 m tall) is one of the largest in Georgia. Since the 11th century, Alaverdi Cathedral had been the center of Alaverdi Diocese and the siege of Alaverdi bishops; after disintegration of Georgia the leader of Alaverdi Diocese, endowed with a high title of Metropolitan Bishop, actually kept the religious life of the whole Kakheti under his charge. Starting with about the same time, Alaverdi also became the burial place of Kakheti royalty. On numerous occasions the cathedral was damaged during invasions and earthquakes. It underwent first large-scale rehabilitation in the 1480-ies, during the reign of Alexander, King of Kakheti. After an especially disastrous earthquake in the 18th century rehabilitation of Alaverdi was started by Queen Tamar in 1742 and finished by Erekle II in the subsequent years. The restored parts of the cathedral are built with brick. In the end of the 19th century the whole interior of Alaverdi was whitewashed. Restoration works in 1966 revealed several layers of mural painting of which the earliest and most important date back to the 11th century. In the southern wing of the church have been discovered 15th-16th century frescos, while the western and northern walls bear traces of 16th-17th cc murals. In spite of numerous redecorations, the cathedral still preserves its initial look. This cruciform domed construction is built of large Shirimi stone slabs and cobblestone and faced with yellow tuff slabs. Initially, the church had blue tile roofing, fragments of which still survive, as well as inscriptions on the walls. Alaverdi was first a friary; in the 17th-18th centuries a nunnery was also established here. Alaverdi was a powerful center of cultural life, a place where many Georgian scholars, calligraphists and writers worked.

Nowadays Alaverdi houses the chair and residence of the Bishop of Alaverdi – currently Metropolitan Bishop David; the friary is still functioning here.

Architectural complex of Alaverdi, surrounded by the 17th-18th cc outer wall, contains constructions of different periods. One of these is very well preserved three-level Episcopal palace, one of the most notable among the Georgian constructions of this type. Large vaulted hall in its ground floor used to serve as a refectory in the 16th-17th centuries. The brick summer palace of Peikar-Khan was built around 1615; its main element is a large octagonal vaulted construction with fountain and wide arches, to which a low-ceiling rectangular room is attached. Other important parts of the monastic complex are the belfry (cylindrical construction built in the 19th century over the Southern gate; apparently there used to be a belfry before, of which the cubical lower part still remains), the wine cellar (standing in about 50 meters outside the northern wall), several other residential constructions and a brick-and-cobblestone bath, located 80 meters to the north-east outside the monastery walls.

Alaverdi is one of the most popular religious and cultural centers of the country, an important symbol of revival of Georgia. Episcopal center of Alaverdi has a big potential as the possible venue for cultural and scientific meetings and folk art festivals. Considering the deplorable status of this historical monument, Architecture, Art and Restoration Center of the Georgian Patriarchy in cooperation with the Ministry of Culture of Georgia decided to launch large-scale rehabilitation of the complex. Coordination and project design activities were implemented by the Georgian Patriarchy, Ministry of Culture, Monument Protection and Sports of Georgia, and Badagoni Company.

The project covered not only restoration of historical constructions, but also holistic development of Alaverdi complex as an urban and architectural entity. Consequently, apart from restoration of the existing constructions as such the rehabilitation process also implied their adaptation to the modern urban context and rehabilitation of underground and overground infrastructure in preselected areas in order to protect the historical constructions from humidity and other damaging factors. In the long run, rehabilitation works are intended to restore the infrastructure to its initial appearance and make it more attractive visually.

Rehabilitation of St. George monastic complex in Alaverdi started in 2005 based on the decision, taken by Architecture, Art and Restoration Center of the Georgian Patriarchy, and the permit issued by the Ministry of Culture of Georgia (archaeological part of the project was implemented by Sh. Bolkvadze, K. Tsereteli, M. Tsindeliani and architect P. Nutsubidze).

First stage of the project implied archaeological research of the constructions belonging to the architectural complex. The research became necessary both because important part of the standing constructions and ruins was hidden under debris, earth and litter covered in a thick blanket of weed. At the very onset of the excavation works it became apparent that the piles of debris were not a one-off deposition but contained numerous artifacts and objects, dropped there at different times up to the end of the 20th century. In the 20th century the area adjacent to the outer wall of the monastery was used as a dump, which is corroborated by different things, found in numbers on the surface and various strata of litter depositions: Soviet-time coins and other typically modern articles like tin cans, factory-made bottles, cup chips, plastic objects, car and tractor parts and even details of collapsible debris used during Alaverdi restoration works in the 1970-ies, etc. Removal of vegetation and litter from the research territory cleared up understructure of the monastery walls significantly below the expected level. Territory of the monastery was completely cleared during the archaeological research; it should be noted that the excavation works resulted in discovering of St. Joseph Alaverdeli's tomb and ruins of the royal palace. One of the constructions forming part of the complex – so-called "lower chambers", presumably dating back to the 6th century, is considered to be one of the oldest parts of the monastery. The construction has been restored under the project and now houses the bishop's residence, refectory and several other facilities. Unique ecclesiastic museum will be launched here in the nearest future.

Monastery wine-cellar represents one of the important components of Alaverdi rehabilitation project. Economic activities of various types, including winemaking, used to form significant part of monastic life. Special cart road linked the monastery with adjacent vineyards from the time immemorial. Archaeological research proved that the wine cellar used to play central part in the life of the monastery; considering this, relevant research was dedicated to this construction at the earlier stage of the project. Results of archaeological research exceeded all expectations: the scientists managed to uncover the whole infrastructure of marani – several dozens of wine amphorae, a system of clay water pipes, brick reservoirs and several auxiliary facilities. Presumably, Alaverdi wine-cellar used to produce 30-40 tons of wine per annum. Archaeological materials discovered during the research, their analysis and processing of archive materials suggests that the wine cellar was bu8ilt in the 16th-17th centuries.

With Metropolitan Bishop David's blessing, it was decided to restore the wine-cellar in its initial form architecturally (which is feasible, considering the results of archaeological research) and functionally.









Authors of Alaverdi wine cellar rehabilitation project are architects Gia Chanchaleishvili, Zaza Svanadze, Vakhtang Chelidze and Paata Nutsubidze. The project was implemented under immediate supervision of Metropolitan Bishop David.

The set goal – full functional restoration of Alaverdi wine cellar – required implementation of the following objectives:

To preserve the amphorae (which proved impossible, because almost all the amphorae were damaged). The working group only succeeded in restoring the unique 4-ton amphora and clay pipeline, serving for water supply. The amphorae, which could not be removed from the cellar, were filled with earth (i.e. they were recultivated);

To restore architectural image of ruined wine cellar and match it to the historically formed environment of the monastery without disrupting the visual highlights of the architectural complex;

To revive the history by restoring the wine cellar its initial function of traditional Georgian wine making. Parallel to the above, considering the present-day reality it was also decided to equip the winery with an up-to-date technological line.

The architects involved in the project realized that implementation of the above would require consequential restructuring of the existing space and that results of this process would show on the exterior of the building. Complexity of the task lay in the requirement to implement the internal structural changes, motivated by modern technological processes, without destroying historical value of the construction, uncovered as a result of archaeological research.

Rehabilitation of an ancient construction is a complex and labor-consuming process. Surviving details, highlighting individuality of the space require double attention on the part of the architect, engaged in this activity. While working on Alaverdi wine cellar rehabilitation project, the architects showed a careful approach toward the historical heritage by finding an architectural solution integrating the past with the modernity. Traditional distribution of wine cellar rooms is adapted to the present-day practices. Simple but elegant style is based on flawless proportionality. Originality of general planning composition is highlighted as much as possible. Interior is unpretentious and comfortable. The architects tried their best to use traditionally Georgian construction materials – cobblestone, Georgian brick, silt, mortar, clay tiling.

Wine cellar was conventionally divided into several zones – lobby, European-style winery, the hall with amphorae and cognac and spirits halls. Especially noteworthy is enoteca (wine repository). Considering the strict temperature regulation requirements it was decided to position the repository underground. However, since the depth of underground waters on the whole territory of Alaverdi Monastery is 1.8 cm, the enoteca had to be equipped with a waterproof reinforced concrete shell and a water diverting well, from which water is pumped out and used for monastery needs.

Metropolitan Bishop David is delighted with the result: seemingly small medieval wine cellar, organically merges with its historical surroundings (the Monastery, Alazani groves and Caucasian mountain ridge in the background) and incorporates two different wine making technologies – Georgian and European.

Alaverdi wine cellar was launched in October 2007; opening presentation was timed to the first anniversary of Badagoni Company.

After almost two hundred years of inactivity, grape juice was first squeezed in the historical Alaverdi wine cellar and by now the monastery already has a stock of its own wine. It is also intended to plant a collection vineyard. Participants of International Wine Congress, appointed in Alaverdi 2010 will be able to take a look at historical Georgian grape varieties and see traditional Georgian methods of vine growing.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: FATHER IOSEBI
OF ALAVERDI MONASTERY







# ბოტანიკის ინსტიტუტი და ჰერბარიუმი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე

ავტორები:
სულხან სულხანიშვილი.
გივი მაჭავარიანი



თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტის და ეროვნული ჰერბარიუმის ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა აშენდა. მშენებლობა 2009 წლის დეკემბრის თვეში დაიწყო. პროექტის საერთო ღირებულება 4 მილიონი ლარია. პროექტის შესარჩევად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება წილად ხვდა ახალგაზრდა არქიტექტორების სულხან სულხანიშვილის და გივი მაჭავარიანის ნამუშევარს. შეგახსენებთ, რომ პროექტი, საერთაშორისო კონკურსის „არქიტექტურული პრემია 2008“ ლაურეატიც გახდა.

ახალი პროექტი, ავტორებმა ისე მიუსადაგეს ბოტანიკური ბაღის რელიეფს, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ შენობა მის ორგანულ ნაწილად გარდაქმნილიყო. მთლიანობაში, მოცულობა თავისი არაორდინალურობის მიუხედავად, თავისუფალი და გამომგონებლურობას აბსოლუტურად მოკლებულია. იგი, ადგილობრივ ლანდშაფტთან შერწყმულია და განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აღიქმება. თანამედროვე ფორმაში მკვეთრადაა გამოხატული სტილური დომინანტი - თავისუფალი გეგმარება, გეომეტრიზმი და ფორმათა გრაფიკა. გამოყენებული მასალის ფაქტურა და ფერი, მოცულობების, ფორმების თვალშისაცემი ესთეტიზმი ნათლად წარმოაჩენს ექსტერიერისა თუ ინტერიერის თვითმყობადობას.





ახალი შენობა სამსართულიანია. სხვადასხვა დონეებზე განთავსებულია ჰერბარიუმის კოლექციები, თბილისის ბოტანიკური ბაღის და ბოტანიკური ინსტიტუტის ადმინისტრაცია, ზოგიერთი სამეცნიერო განყოფილება, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური მუზეუმი, ლაბორატორიები.შენობის ყოველი დონე ფართო ტერასებზე გადის, საიდანაც ძველი თბილისის შთამბეჭდავი ხედი იშლება.

2011 წლისთვის მთლიანად დასრულდება შენობის აღჭურვა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანება.

თბილისის ბოტანიკური ბაღის და ინსტიტუტის ჰერბარიუმში კავკასიის და მსოფლიოს სხვა რეგიონების ფლორის მილიონამდე საჰერბარიუმო ნიმუშებია დაცული. მასში, შესაძლოა, ისეთი მცენარეები ინახებოდეს, რომლებიც ამჟამად გადაშენებულია.

თბილისის ბოტნიკური ბაღი ერთ-ერთ უძველესია მსოფლიოში. მისი ისტორია XVII საუკუნის I ნახევრიდან (1636წ.) იწყება. ბაღის წინამორბედი იყო სოლოლაკის სამხრეთით, მდინარე წავკისისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში (ლეღვთახევში) გაშენებული დეკორატიული და სამკურნალო მცენარეების "სამეფო ბაღი". მას "ციხის ბაღს", იგივე "სეიდაბადის" ბაღს, ან "ცოდნის წყაროსაც" უწოდებდნენ.

1845 წლის 1 მაისიდან კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით ბაღები გაერთიანდა და მას ოფიციალურად ეწოდა თბილისის ბოტანიკური ბაღი. 1896-1904 წლებში ბაღი დასავლეთისკენ გაფართოვდა..

ბაღის მთავარი შესასვლელი ბოტანიკური ქუჩის ბოლოსაა, ნარიყალას ძირას. 1909-14 წლებში სოლოლაკის ქედში გაიჭრა გვირაბი და გაკეთდა მეორე შესასვლელი ლ. ასათიანის ქუჩიდან.

ბაღს წავკისის წყალი ორ ნაწილად ყოფს. მდინარეზე რამდენიმე ხიდია გადებული. მათ შორის ყველაზე მეტად ჩანჩქერზე გადებული თაღებიანი ხიდი გამოირჩევა, რომელიც 1914 წელს გაკეთდა.

XX საუკუნის 30-იან წლებში თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა ფართო მასშტაბით გაშალა კვლევითი სამუშაოები ბოტანიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიის მცენარეთა სელექციის მცენარეთა დაცვის სახით. ყოველივე ამან დასაბამი მისცა ბოტანიკური ბაღის ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფორმირებას. 1934 წლიდან ბაღს გამოეყო ბოტანიკის ინსტიტუტი, რომელსაც გადაეცა ჰერბარიუმი, ბიბლიოთეკა, მცენარეთა ფიზოოლოგიის ლაბორატორია და მცენარეთა სელექციის განყოფილება. დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტად ჩამოყალიბდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი,ზოოლოგიის ინსტიტუტი, მემინდვრეობის ინსტიტუტი და საქართველოს სასელექციო სადგური.

1986 წელს საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნა ბოტანიკური ბაღის 350 წლისთავი. ამ თარიღის აღნიშვნიდან რამდენიმე წელიწადში კი ბაღს, ისევე, როგორც მთელ საქართველოს უმძიმესი პერიოდი დაუდგა. 90-იანი წლების განუკითხაობამ და 90-იანი წლების მიწურულის უსახსრობამ ლამის კატასტროფამდე მიიყვანა უნიკალური ბაღი. თუმცა, შემდეგ ვითარება გამოსწორდა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2007 წელს თბილისის ბოტანიკური ბაღი და ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტი გაერთიანდა. მალე, განახლებულ გარემოში, კვლავ შეგეძლებად ისიამოვნოთ ბოტანიკური ბაღის საოცარი გარემოთი, ნახოთ ჩანჩქერი, ბამბუკების ჭალა, უძველეს თაღოვანი ხიდი," ანგელოზების ბაღი" და სხვა მრავალი სილამაზე.

ნინო ლაღიძე



# Institute of Botany and Herbarium in Botanical Garden

*Authors: Sulkhan Sulkhanishvili. Givi Machavariani*



New up-to-date construction was recently built for Institute of Botany and Herbarium on the territory of Tbilisi Botanical Garden. Total cost of the project, started in December 2009, amounted to 4 million lari. Project design tender was won by young architects Sulkhan Sulkhanishvili and Givi Machavariani, whose project also became the laureate of Architectural Award 2008.

The authors adapted their project to the relief of Botanical Garden in order to ensure maximal integration of the new building with its surroundings. In spite of its unordinary design, this reasonably uninhibited, unpretentious construction became a natural part of Botanical Garden landscape and added a special emotional highlight to the place. Free planning and geometric precision of the forms, textures and colors of construction materials, striking aestheticism of volumes and shapes, highlight originality of the building and turn it into a style highlight.

The new construction is three-level. It contains herbarium collection, offices of Botanical Garden and the Institute of Botany, several scientific departments, laboratories, library and botanical museum. Each level of the building opens onto a wide terrace, offering impressive vistas of old Tbilisi.

By 2011 the building will be fully outfitted and landscaping of the adjacent territory will be finalized.

Herbarium of Tbilisi Botanical Garden contains up to million samples of plants from Caucasus and other parts of the world, possibly including plants already extinct.















Tbilisi Botanical Garden is one of the oldest in the world. Its history starts with early 17th century (Y1636, to be more precise). Precursor of the Botanical Garden was the "Royal Garden" of decorative and curative plants (a.k.a. Fortress Garden, Seidabad Garden), developed in 1636 to the south of Sololaki, in the lower stream of Tsavkisistskali River (Legvtakhevi area). On May 1 1845, based on the decree of Caucasian viceroy Mikheil Vorontsov, this garden was officially transformed into Tbilisi Botanical Garden; in 1896-1904 this garden was further expanded toward the west. Main entrance into the Garden is located in the end of Botanical Street, under Narikala Fortress. In 1909-14 a tunnel was cut in Sololaki hill and the second entrance to the Botanical Garden was opened from Lado Asatiani Street.

The Garden is divided in two by Tsavkisistskali. There are several bridges on the river, of which the most notable is the vaulted bridge thrown over the waterfall, built in 1914.

In the 1930'ies Tbilisi Botanical Garden launched a wide-scale research in the spheres of botany, plant physiology and selection. These activities caused creation of botanical scientific research institute, from which in 1934 segregated Institute of Botany (controlling Botanical Garden herbarium, library, plant physiology laboratory and plant selection department) and later Institute of Plant Protection, Institute of Zoology, Agrarian Institute and Plant Selection Station.

In 1986 Botanical Garden celebrated its 350th anniversary. Several years after, the Garden – like whole Georgia – had to face grave problems: chaos and poverty, which the country experienced in 1990ies, brought this unique place to the brink of destruction. However, in the 2000ies the situation gradually changed back to normal. In 2007 Georgian government integrated Tbilisi Botanical Garden with Niko Ketskhoveli Institute of Botany. Very soon, you will be able to enjoy the wonderful world of Tbilisi Botanical Garden with its waterfall, bamboo forest, old vaulted bridge, Angels' Grove and many other attractions again.

NINO LAGHIDZE







# მედიქლაბჯორჯია

## ინოვაცია, ხედვა, პროფესიონალიზმი

ავტორი: არქიტექტორი დავით ცუცქირიძე







**2010** წლის **25** მარტს, თბილისში, ტაშკენტის ქუჩაზე "მედიქლაბჯორჯიას" **(Mediclub-Georgia)** ახალი მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი გაიხსნა.

პრეზენტაციას, საქართველოს პრემიერ მინისტრი ნიკოლოზ გილაური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა და სამედიცინო სფეროს ქართველი და უცხოელი წამყვანი სპეციალისტები დაესწრნენ.

მედიქლაბჯორჯია **1999** წელს დაფუძნდა და დღემდე რჩება უმაღლესი სტანდარტების სამედიცინო მომსახურების მიწოდების ერთგული.

**MediClubGeorgia** არის ტრანსნაციონალური ოჯახის წევრი, რომელიც ორიენტირებულია მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ის აერთიანებს აზერბაიჯანში მდებარე მედიქლაბის კლინიკათა ქსელს და სადაზღვევო კომპანია **A Group**-ს. კომპანია შედგება სამი სტრატეგიული ბიზნეს ერთეულისგან: მრავალფუნქციური სამედიცინო ცენტრი; სასწავლო რესურს-ცენტრი; საოჯახო მედიცინის ცენტრი.

















მედიქლაბჯორჯია-ს კლინიკა საკუთარ კლიენტებს სთავაზობს მომსახურებათა ფართო სპექტრს. ახალი კლინიკა აღჭურვილია **Siemens**-ის წარმოების რენტგენით, კომპიუტერული ტომოგრაფიით, ულტრაბგერის აპარატითა და ანიოგრფიით. სხვა სამედიცინო ინვენტარის მომწოდებლები არიან ისეთი ლიდერი კომპანიები, როგორებიცაა **Draeger, Maquet, Storz., Philips, Shiller, Getinge, Fresenius** და სხვა. კომპანიის ბიოსამედიცინო ინჟინერიის სამსახურის პროფესიული პარტნიორია შპს „ივერმედი“. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პედიატრიულ სამსახურს. კლინიკა უზრუნველყოფს ბავშვებს კომფორტული სათამაშო ადგილით, რათა ხელი შეუწყოს ლოდინის პროცესში დაძაბულობისა და შიშის მოხსნას და, რომ ექიმთან ვიზიტი პატარებს სასიამოვნო მოგონებად გადაექცეთ.

**MediClubGeorgia** სთავაზობს პაციენტებს საუკეთესო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. მისი განყოფილება აღჭურვილია ოთხი საწოლით და გამოცდილ ექიმთა ჯგუფით. მედიქლაბჯორჯია უზრუნველყოფს, როგორც ქვეყნისშიდა, ასევე საერთაშორისო ევაკუაციას.

სამი ულტრათანამედროვე, სრუყოფილად აღჭურვილი საოპერაციო, შვიდი ბოქსირებული სარეანიმაციო **(ICU)** საწოლი, გადაუდებელი დახმარების **(CCU)** ბლოკი უზრუნველყოფს კლინიკის მრავალპროფილურ ფუნქციონირებას.

სარეაბილიტაციო დეპარტამენტი უზრუნველყოფილია ჰიდროთერაპიის აუზით, ფიზიოთერაპიული ბლოკითა და სატრენაჟორო დარბაზით.

პალატები ძირითადად ერთადგილიანია და თითოეულს აქვს ცალკე აბაზანა. პაციენტებისთვის მეტი კომფორტის შექმნისთვის ოთახში არის კაბელური ტელევიზია და წვდომა ინტერნეტთან.

თანამედროვე ანალიზატორებითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია **100**-ზე მეტი სხვადასხვა ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

საკონფერენციო დარბაზი განკუთვნილია **160** ადამიანისთვის და წარმოადგენს ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მთავარ ადგილს.

შენობას გააჩნია აგრეთვე ბიბლიოთეკა, სადაც მოიძებნება მრავალი სამედიცინო თუ არასამედიცინო ლიტერატურა. აქვე შესაძლებელია ქსელური ბიბლიოთეკით სარგებლობაც. ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით კლინიკაში განთავსებულია კაფეტერია.











ულტრათანამედროვე კლინიკაში ასევე განთავსებულია სამი აპარტამენტი უცხოელი სტუმრებისათვის, რომლებიც კომპანიის პარტნიორი ორგანიზაციებიდან ცოდნის გაზიარების მიზნით ეწვევიან. ეს ოთახები საჭიროების შემთხვევაში პაციენტების ახლობლებსაც უმასპინძლებს.

**MediClubGeorgia**-ს ახალი სამედიცინო ცენტრის არქიტექტურა (ექსტერიერი, ინტერიერი, ფურნიტურა) არქიტექტორ დავით ცუცქირიძის პროექტით შეიქმნა. ავტორმა, ულტრათანამედროვე სამედიცინო დაწესებულებისთვის ტექნიკური თუ ესტეტიკური მოთხოვნების და მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, შესაბამისი ულტრათანამედროვე მოცულობა შექმნა. ნაგებობის არქიტექტურული გრაფიკა, მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობა თუ მათი ფერით ლავირება, თავისუფალი ფორმების, და დეკორის თვალშისაცემი ესთეტიზმი ნათლად წარმოაჩენს ექსტერიერისა თუ ინტერიერის თვითმყობადობას.

კლინიკის შიდა სივრცის მოდულური კომპოზიცია - დომინანტი არქიტექტონიკური ელემენტის - კლინიკის მოსაცდელი დარბაზის დიზაინი ფუნქციურ-მხატვრული ხასიათის მატარებელია და მთლიანად განსაზღვრავს ინტერიერის თვითმყოფად ხასიათს.

მრავალფუნქციური თანამედროვე დაწესებულების სპეციფიური თუ საზოგადოებრივი ზონების ინტერიერები, ყოველ მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ამგვარი „ხასიათის“ სინატიფის იდენტურ მოპყრობას მოითხოვს. ზოგჯერ, სწორედ სპეციფიურობიდან გამომდინარე ზედმეტი დეკორატიული დეტალების იგნორი, ლაკონური ფერითი კონტრასტებითაა კომპენსირებული. ამ მხრივ გასაოცარი და არასტანდარტულია საოპერაციო ბლოკები. სულ სხვაგვარად ამაღლებულ ზემოქმედებას ახდენს სტენდალისეური - შავი და წითელი ფერების „თამაში“.

სივრცეში, წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, ავტორისეულ ფურნიტურას, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

წარმოდგენილი, დასტურია იმისა, რომ არქიტექტორმა, ურთულეს ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი და მოცემულ სივრცეში, ფუნქციურისა და სილამაზის შერწყმით, ის აუცილებელი „სიზუსტე“, სიმყუდროვე და კომფორტი შექმნა, რომელიც ავტორის კონცეპტუალური კრედოსა და მედიქლაბჯორჯიას დევიზის - ინოვაცია, ხედვა, პროფესიონალიზმი - ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლალიძე



























# MediClubGeorgia

INNOVATION, VISION, PROFESSIONALISM

*Author: architect David Tsutskiridze*





On March 25 2010 new MediClubGeorgia multi-profile medical center was launched in Tashkent Street, Tbilisi. Presentation of the new center was attended by Prime Minister of Georgia Nikoloz Gilauri, Minister of Labor, Health and Social Affairs of Georgia Alexander Kvitashvili, Mayor of Tbilisi Gigi Ugulava and numerous leading medical specialists from Georgia and other countries.

MediClubGeorgia, established in 1999, belongs to a translational family, targeting high quality medical servicing in South Caucasian countries. This family also includes a network of MediClub clinics in Azerbaijan and insurance company A Group. The brand consists of three strategic business units: multifunctional medical center, educational resource center, family medicine center.

MediClubGeorgia offers a wide range of services. The new clinic is equipped with Siemens x-ray, computer-aided tomography, supersonic and angiography scanning machinery. Other medical equipment installed in the new clinic has been produced by such leading manufacturers as Draeger, Maquet, Storz, Philips, Shiller, Getinge, Fresenius, etc. Professional partner of MediClubGeorgia in the sphere of biomedical engineering is “Ivermedi”. Special attention is paid to development of pediatric service. The clinic offers children a comfortable playing area, relieving the visitors’ tension and helping to turn their visit to the clinic a pleasant memory.

MediClubGeorgia provides patients with most efficient emergency medical support. Four-bed emergency medical aid department is serviced by an experienced medical crew. MediClubGeorgia can arrange evacuation both within the country and internationally.

Three ultramodern, fully equipped operating rooms, three isolated intensive care units and a CCU department ensure multi-profile functioning of the clinic.

Rehabilitation department is equipped with hydrotherapy pool, physiotherapy unit and a gym.

Bed wards are all single and have isolated bathrooms. For added comfort, each ward is connected to cable TV and internet.

Laboratory, equipped with modern analyzers and technologies, enables over 100 different kinds of laboratory research.

160-seat conference hall is the main place for sharing knowledge and experience.

The clinic has a library containing diverse medical and non-medical literature and giving access to a digital network database of reference materials. To complement the infrastructure, the clinic has also been provided with a cafeteria.







Ultramodern new MediClubGeorgia center has three suites for foreign guests – visiting specialists from partner organizations, coming to the clinic in order to share their knowledge. In case of necessity, these rooms also accommodate the patients' relatives.

Architecture of new MediClubGeorgia center (exterior, interior, furniture) has been designed by architect Davit Tsutskiridze. By considering technical and aesthetic requirements and standards related to ultramodern medical establishments and based on his own professional knowledge, the architect created a relevant ultramodern construction. Architectural graphics of the building, subtle variance of masses, colors and shapes, as well as striking aestheticism of dйcor highlight originality of exterior and interior design.

Modular composition of clinic interior with lobby serving as dominant architectonic element – is both functional and artistic.

Designing of interiors for public and limited access zones in a multifunctional establishment requires a subtle approach. Considering this subtlety, the author cut down the use of decorative details but applied laconic color contrasts. Especially interesting in this regard are operation rooms with Stendal-esque black and red color highlights.

Unexpected design features and custom-made furniture add lightness and comfort to the interior. Individual character and functionality of each space stand out clearly against the general stylistic background. Integrity of constructional and decorative details visually increases the interior, highlights its forms and accentuates depth and intensity of colors.

This confirms that the architect successfully coped with the challenging task he was given and found the exact combination of functionality and aestheticism to form a comfortable space, which is a physical expression of the author's professional credo and MediClubGeorgia's motto – "Innovation, Vision, Professionalism".

NINO LAGHIDZE












1

ტაბიძე • TABIDZE



# თბილისის ყველაზე პრესტიჟული ბიზნესცენტრი



თავისუფლების მოედანზე გაიხსნა თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური ბიზნესცენტრი „ტაბიძე 1“. პრეზენტაცია გაიმართა 2010 წლის 20 მაისს.

ღონისძიების სტუმრებს, წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელებს შესაძლებლობა მიეცათ, ადგილზე შეეფასებინათ შესრულებული სამუშაოებისა და მშენებლობისას გამოყენებული მასალების ხარისხი.

თავისუფლების მოედანზე მდებარე ბიზნესცენტრი დეველოპერული კომპანია „რედიქსის“ მმართველობაში არსებული ერთ-ერთი გამორჩეული საოფისე ნაგებობაა.

„ტაბიძე 1“-ს რეკონსტრუქციისას შენარჩუნებული იქნა ფასადის კლასიკური იერსახე, აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ფასადის დეკორაციებსა და ლითონის აივნებს. „ტაბიძე 1“ გასული საუკუნეების თბილისის ხასიათსა და თანამედროვე ტენდენციებს აერთიანებს. ბიზნესცენტრის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნა, ისეთი სპეციფიკური დეტალები, რომლებიც ოფისებში მყუდრო, პარიზული სტილის ატმოსფეროს ქმნის და მშვიდ სამუშაო გარემოს უზრუნველყოფს.

ოფისები დამქირავებელს დასრულებული რემონტით ჩაბარდა. ევროპის წამყვანი კომპანიების მიერ მოწოდებული ნოვატორული ტექნოლოგიები მომხმარებლის მოთხოვნებზე მისადაგებით იძლევა სივრცის მოქნილად გადაგეგმარების საშუალებას ნგრევის და დამატებითი სარემონტო სამუშაოების გარეშე: MAARS-ის ფირმის მინის შიდა ტიხრები და კარები ამსუბუქებს ინტერიერს და ოფისში დღის სინათლის ოპტიმალურად განაწილებას უზრუნველყოფს, რბილსაფარიანი იტალიური „ფალშიატაკი“ კი სამუშაო ადგილის პრაქტიკულად და ესთეტიკურად მოწყობის შესაძლებლობას ქმნის. ოფისების მყუდროებას იცავს SCHUCO-ს ხმაგაუმტარი ალუმინის გარე კარ-ფანჯარა. შესრულებული სამუშაოების ხარისხი, დახვეწილი ინტერიერი, და-



მატებითი სერვისები მაქსიმალური კომფორტისა და უსაფრთხოებისთვის – ყოველივემ, ქალაქის ცენტრში მდებარე ოფისი საუკეთესო სამუშაო ადგილად აქცია.

„ახალი ნაგებობების შექმნისას აუცილებელია როგორც XXI საუკუნის ტექნოლოგიებით სარგებლობა, ისე ქალაქის კოლორიტული იერსახის შენარჩუნება, მით უმეტეს, თავისუფლების მოედანზე, თბილისის ლამაზ, ისტორიულ უბანში. მოხარული ვარ, რომ ახალ ბიზნესცენტრში შევძელით ამ მოთხოვნების გაერთიანება და ავაგეთ შენობა, რომელიც როგორც თბილისის მაცხოვრებლების, ისე უცხოელი სტუმრების მოწონებას იმსახურებს. ტექნიკური მახასიათებლებით „ტაბიძე 1“ სრულად შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს “ – აცხადებს კომპანია „რედიქსის“ გენერალური დირექტორი ბატონი ლაშა პაპაშვილი.

# The most prestigious business-center in Tbilisi

At the cross-point of Tbilisi historic districts – Kala, Geretubani (contemporary Rustaveli Avenue) and Sololaki, there is a brick building with pseudo-classical and pseudo-renaissance styles, which was built in early 20th century in place of a two-storey house. The mentioned building has former City Hall on the one side and by Courtyard Marriott Hotel on the other side. Architectural composition of the building is perfect. Its faзade is almost entirely visible from Freedom Square and actually merges with the architectural background of the area.

In order to retain artistic and historical value of the building, it was decided to restore its initial design. Arrangement of A class exclusive office spaces added commercial value to historical importance of the building. The resulting business-center combines the old Tbilisi atmosphere with modern business standards.

Before handing to tenant companies, Tabidze 1 offices were fully decorated. Planning of interior spaces (which were customized based on the tenants' requests) was done with the help of MAARS glass partitions and doors – an optimal solution reducing construction requirements, eliminating the risk of damaging the historical building and contributing to efficient distribution of sunlight inside the offices; soft-surface Italian false-floor increased usability and aesthetic qualities of the interior and added comfort was ensured with the help of sound-proof SCHUCO aluminum windows and outer doors. High quality of decoration works, refined interior and additional services ensuring the maximum of comfort and security make this downtown business-center the best place to work in.

"Creation of new buildings requires both application of 21st century technologies and preservation of the existing architectural background – especially if we deal with places like Freedom Square, the most beautiful historical quarter of Tbilisi. I am happy that our new business-center meets both these requirements. By technical characteristics, Tabidze 1 fully satisfies international standards," – says general director of Redix Lasha Papashvili.

# ტაძარი





ცოტა ხნის წინ თბილისში, ზემო ვაკეში, მარაბდის ქუჩის ბოლოს დასრულდა წმინდა გიორგის სახელობის ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მშენებლობა. პროექტის ავტორმა, არქიტექტორმა თენგიზ მახარაშვილმა, შეძლო ეკლესიის კარგად მორგება რთულ რელიეფზე და მისი მასშტაბის სწორად გააზრება.

ზემო ვაკის შემაღლებული ბორცვიდან, ეკლესია ქალაქის სხვადასხვა ადგილებიდან მოჩანს. ამას ხელს უწყობს მისი სადა, ლაკონური ფორმები და მასების მასშტაბური ურთიერთგადანაწილება.

გუმბათი, თავისი ოდნავ გაზრდილი სიმაღლით და პროპორციებით, ეკლესიის წამყვან მოცულობით-სივრცობრივ ელემენტს წარმოადგენს.

მიუხედავად ეკლესიის მცირე ზომებისა, მისი შიდა და გარე არქიტექტურა მონუმენტალურია, რასაც ხაზს უსვამს ფასადების მომწვანო ქვით მოპირკეთება და თავშეკავებული, ლაკონური დეკორირება. აქ ორნამენტებით, მხოლოდ ფანჯრების და კარების საპირეებია შემკული. თუმცა აღმოსავლეთის ფასადზე, გამორჩეულადაა ხაზგასმული ჯვრის დეკორირებული დამუშავება.

ეკლესიის შესასვლელის ორივე კარის თავზე, ნახევარწრიულ სივრცეში, ბარელიეფური კომპოზიციებია განთავსებული.

რთული რელიეფის შესატყვისად, შენობა ტერასულ პედესტალზეა განლაგებული, რომლის გარშემოსასვლელი ტერასიდან იშლება მთელი თბილისის, მათ შორის სამების საკათედრო ტაძრის შთამბეჭდავი პანორამა.

ეკლესიის მშენებლობა ადგილობრივ მაცხოვრებელთა და კერძო ქველმოქმედთა შემოწირულობებით ფინანსდებოდა და რამდენიმე წელს მიმდინარეობდა. თუმცა მთლიანობაში პროექტით გათვალისწინებული, ამ მცირესაეკლესიო კომპლექსის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა. ამჟამად მიმდინარეობს სამრეკლოს, გასანათლის და სხვა მცირე დამხმარე ნაგებობების მშენებლობა, რომელსაც შემდგომ დაემატება სატრაპეზოს, საკვირაო სკოლისა და საეკლესიო სამხატვრო სახელოსნოს შენობაც. გათვალისწინებულია ირგვლივ მდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მშენებლობის ორგანიზატორი და განმახორციელებელია, ამ უბნის მკვიდრი, შესანიშნავი პიროვნება, ბატონი ზურაბ დვალი.

არქიტექტორი, თენგიზ მახარაშვილი



# St. George Church

Construction of St. George church was recently finished in Marabda Street, upper Vake district, Tbilisi. Author of the project – architect Tengkz Makharashvili – successfully scaled dimensions of the construction and efficiently adapted it to the complex relief.

The church, perched on the hilltop in upper Vake, can be seen from different parts of the city. Visibility of the construction is facilitated by its simple, unpretentious forms and skillful distribution of masses.

Leading constructional element of the temple is a slightly elongated central dome. In spite of its small size, the interior and exterior of the church are monumental, highlighted by greenish stone facing and subdued dйcor: ornaments around door and window openings, cross on the eastern faзade and bas-relief compositions above both entrances.

Following the complex sloping relief, the temple stands on a stratified base. From terraces around the church you can enjoy breathtaking vistas of Tbilisi, including Sameba Cathedral.

Construction of the church went on for several years and was funded by local population and private donations. However, the project is not finished yet. In the long run, the complex will contain belfry, refectory, Sunday school, art studio and several other facilities. The territory around the church will be landscaped.

Construction process was organized and coordinated by local resident Mr. Zurab Dvali.

TENGIZ MAKHARASHVILI, ARCHITECT





# არქიტექტურა ინტელექტუალური და სულიერი

საცხოვრებელ სახლზე მუშაობის დაწყებისას არქიტექტორის წინაშე ყოველთვის დგას საინტერესო, მაგრამ თავისებურად რთული ამოცანა - შეიქმნას კომფორტული და საცხოვრებელი სივრცე, კერძოდ იმ ადამიანების შემოქმედებითი თავისებურებების და ინდივიდუალურობის გათვალისწინებით, რომელთათვისაც იქმნება სახლი, სადაც მეპატრონის გემოვნება მთლიანად შენობის მოცულობით-სივრცობრივი სახის სტილური მიმართულების განმსაზღვრელია.

დამკვეთი, ჩვენს შემთხვევაში ბინის მეპატრონე, აბსოლუტურად მიენდო პროფესიონალს, არქიტექტორთან ერთად დაიწყო ჩანაფიქრის განხორციელება. დაიწყო ასე ვთქვათ ინტელექქუალური „თამაში“. სახლის სტილური გადაწყვეტის პროცესში, ავტორმა ზუსტად გაითავისა სახლის მფლობელის სურვილები და მოთხოვნები. არქიტექტორს სრული თავისუფლება მიეცა საკუთარი იდეების განსახორციელებლად და თანდათან, იდეა ულამაზეს საცხოვრებელად გარდაიქმნა.





სახლის არქიტექტურა აბსოლუტურად თანამედროვეა, კოსმოპოლიტურია. გონივრულად შერჩეული მასალა, აქსესუარები და თითოეული ნიუანსი საცხოვრებელს სუფთა, ეკოლოგიურ გარემოდ გარდაქმნის - მყუდროსა და კომფორტულს ხდის. სახლი მასშტაბურია და მსუბუქად დგას ჰორიზონტალურ ლანდშაფტზე. ექსტერიერის კონტურების მრავალპლანიანი დანაწევრება მნახველს დიდი ინტერესითა და სიმპათიით განაწყობს. არქიტექტურა ტერიტორიის კეთილმოწყობით იწყე-







ბა, მასში ჰარმონიულადაა ჩაწერილი სახლის გეგმარებითი ფორმები.

სახლის გეგმარება ორიგინალურ სქემაში ჯდება. პირველი სართული სასტუმროს, სასადილოს, გასართობ და სამზარეულოს ზონებს მოიცავს. აქვეა კაბინეტი. ინტერიერს სინატიფეს კიბე და მის ქვეშ გამავალი ვიწრო დეკორატიულ კალაპოტში მოქცეული წყლის ბილიკი მატებს. ბილიკი გადის ეზოში, რაც ხაზს უსვამს ინტერიერისა და ექსტერიერის,შიდა და გარე სივრცეების ერთობლიობას. კიბე ჰოლისა და ანტრესოლის დამკავშირებელია. ანტრესოლი გახსნილია ინტერიერის საერთო სივრცეში - ის გადმოჰყურებს ორსინათლიან საზოგადოებრივ ზონას. სახლის ეს მონაკვეთი შემინული კონსტრუქციებითაა შემოსაზღვრული, რაც საცხოვრებლის ატმოსფეროს ჰაერითა და თავისუფლებით აჯერებს. ანტრესოლიდან - მყუდრო, ულამაზეს საძინებლებში ვხვდებით, ერთგვარი ხიდის საშუალებით საძინებლების ბლოკი დაკავშირებულია ღია ტერასასთან, რაც საერთო ოთახისა და სამზარეულოს სახურავზეა მოთავსებული.

საცხოვრებლის ინტერიერი შეჭრილია გარე სამყაროში - თითქმის მთლიანად გახსნილი შემინული სივრცეები კეთილმოწყობილ ეზოსთან აბსოლუტურ სინქრონში მოდიან. სახლი არაჩვეულებრივად აღიქმება შებინდებისას, როდესაც ეზო და შიდა სივრცე განათებულია მრავალი ძვირფასი სანათით. საცხოვრებლის მგრძნობიარე მემბრანად გარდაქმნილი გარსი, შიდა და გარე სამყაროს ერთიმეორის მონაცვლეობით აღიქვამს.

ინტერიერში ყოველივე მარტივი და ლაკონურია. არქიტექტორი ძირითადი ელემენტების მაქსიმუმს იყენებს, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სივრცის მოცულობა ერთი ხელის მოსმით, არაფრისგანაა შექმნილი. არქიტექტურული ხაზების ერთობლიობა სივრცე-





ში გამეფებული პასტელური ფერების სირბილეს კიდევ უფრო მელოდიურს ხდის. ეს არქიტექტორის ხელწერაა.

ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს საცხოვრებელი სივრცის ფუნქციონალურობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი აბსოლუტურად გახსნილია, ყველა ზონა თავისებური არქიტექტურული ნიუანსით არის გამოყოფილი ერთმანეთისგან და საცხოვრებლად მეტად მოსახერხებელია.

ნინო ლალიძე

ფოტო: თორნიკე გაბინაშვილი











# Intellectual and Spiritual Architecture



An architect wishing to design a residential construction faces a challenging but complex task – to create a comfortable space tailored to personal traits, taste and lifestyle of people who are going to live there.

In this particular case house owner got actively involved in discussion of design ideas and concepts, which enabled the designer to efficiently consider his taste and preferences while developing the project.

Architecture of the resulting house is explicitly modern and cosmopolitan. Efficient choice of materials, accessories and details turns the apartment into a comfortable, peaceful and environment-friendly place. The house, sitting on a horizontal site, is spacious and light. Multiplane breakdown of exterior contours and careful landscaping of the site catches the eye, highlights architectural merits of the house and makes it even more attractive. Front courtyard is decorated by an elongated swimming pool.













Planning of the house is based on a highly original structure. The ground floor contains a living room, a dining room, recreation area, kitchen and the study. Exquisite design of the interior is highlighted by a staircase with a narrow stream of water underneath. The streamlet flows out into the courtyard, and the staircase connects basement with entresol. The basement comprises a wine-cellar and a garage, while the entresol, overlooking the living room, is integrated in the general interior space. The roof over this part of the house is glazed – so that the house is filled with sunlight and air; from the entresol you can enter comfortable bedrooms and a spacious balcony.

Interior of the house opens up to the surrounding world due to the amply glazed surfaces. The construction looks especially efficient in dusk, when the lights are turned on.

The interior is simplistic and laconic. The architect maximally used the potential of dominant elements – one might think that the house was created from nothing in one single motion. Integrity of architectural curves and lines intensifies melodious sequence of dominant pastel colors. At the same time, the residential space is highly functional. Though it is fully open, all zones are skillfully differentiated.

In spite of their piquancy, architecture and design are uninhibited and devoid of excess expressivity. Integral spaces are perceived with a relevant emotional charge, based on their respective functions, and each of them fully conforms to the residents' taste and lifestyle.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY TORNIKE GABINASHVILI









ჩვენი მეგობრები
OUR FRIENDS




პროექტი: ADIDAS INTERNATIONAL-Inc., პუებლას ფილიალი. ადგილმდებარეობა: პუებლა, მექსიკა
ავტორები: არქიტექტორები ლუის ალეხანდრო მარტინიონი, კარლოს მარტინიონი, მარია ხოსე ერალესი
Project: ADIDAS INTERNATIONAL-Inc. Puebla-Divison. Location: Puebla, Mйxico
Authors: Arq. Luis Alejandro Martignon, Arq. Carlos A. Martignon, Arq. Maгна Josй Erales

agencia de arquitectura



არქიტექტორი მარია-ხოსე ერალესი
ასაკი: 29 წ.
განათლება: პუებლას უნივერსიტეტი
Arq. Maгна Josй Erales
Age: 29
Architect by UDLAP-Universidad de las Amйricas-Puebla



არქიტექტორი კარლოს მარტინიონი
ასაკი: 25 წ.
განათლება: იბეროამერიკული უნივერსიტეტი
Arq. Carlos A. Martignon
Age:25
Architect by UIA-Universidad Iberoamericana (Campus Ciudad de Puebla)



არქიტექტორი ლუის ალეხანდრო მარტინიონი
ასაკი: 32 წ.
განათლება: იბეროამერიკული უნივერსიტეტი; მაგისტრატურა: მადრიდის (ესპანეთი) პოლი ტექნიკური უნივერსიტეტი
Arq. Luis Alejandro Martignon
Age: 32
Architect by UIA-Universidad Iberoamericana (Campus Ciudad de Puebla)
Posgraduate by UPM-Universidad Politйcnica de Madrid (Espaca) ETSAM-Escuela Tйcnica Superior de Madrid.


















პროექტი: BAR-ELEMENTS.
ადგილმდებარეობა:
კერეტარო, მექსიკა
ავტორები: არქიტექტორები
ლუის ალეხანდრო მარტინიონი,
კარლოს მარტინიონი,
მარია ხოსე ერალესი

Project: BAR-ELEMENTS.
Location: Queretaro, Mйxico
Authors:
Arq. Luis Alejandro Martignon,
Arq. Carlos A. Martignon,
Arq. Maгнa Josй Erales

agencia de arquitectura





პროექტი: House GV
ადგილმდებარეობა:
ხოლულა-პუებლა, მექსიკა
ავტორები:
არქიტექტორები ლუის
ალეხანდრო მარტინიონი,
კარლოს მარტინიონი,
მარია ხოსე ერალესი



Project: House GV
Location: Cholula-Puebla, Mйxico
Authors: Arq. Luis Alejandro Martignon
Arq. Carlos A. Martignon
Arq. Marнa Josй Erales









პროექტი: ტექნოლოგიური ინოვაციის ცენტრი
ადგილმდებარეობა: პუებლა, მექსიკა
ავტორები: არქიტექტორები
ლუის ალეხანდრო მარტინიონი,
კარლოს მარტინიონი,
მარია ხოსე ერალესი

Project: Technologic Innovation Center
Location: Puebla, Mйxico
Authors: Arq. Luis Alejandro Martignon
Arq. Carlos A. Martignon
Arq. Maгна Josй Erales



ჩვენი მეგობრები

OUR FRIENDS



**ლუდოვიკ დიუპონი, დიზაინერ-არქიტრქტორი, სტუდია YOUR CONCEPT BY-ს დამფუძნებელი**

**LUDOVIC DUPONT, Architecte d'intйrieur et Designer, Fondateur du bureau d'architecture YOUR CONCEPT BY, basй a Genиve.**

არქიტექტურულ სტუდიას YOUR CONCEPT BY (სიტყვასიტყვით: „თქვენი კონცეფციის ავტორია...") სტუდიის დამფუძნებელი დასძენს: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არქიტექტორებს, იგივენაირად როგორც არქიტექტორ-დიზაინერებს, ძალუძთ თავიანთი სიტყვის თქმა საზოგადოებაში, სადაც ეკოლოგია საყოველთაო ყურადღების ცენტრშია; ჩვენი პროექტების რეალიზაციის დროს, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ ანგარიში გავუწიოთ ამ საკითხს (მასალების შერჩევით, გარემოსადმი ფრთხილი დამოკიდებულებით, ენერგიის ეკონომიური ხარჯვით)..." სტუდია ცდილობს შექმნას ისეთი საცხოვრებელი სივრცეები, რომლებიც ნაკლებ ზიანს მიაყენებს გარემოს.

## გეოგრაფიული არეალი

YOUR CONCEPT BY-ს აქვს წარმომადგენლობები ჟენევაში, კასაბლანკაში და ლაჟვარდოვან სანაპიროზე. ვრცელი გეოგრაფიული დაფარვისა და კოსმოპოლიტური სულის წყალობით, YOUR CONCEPT BY-ს საშუალება აქვს განახორციელოს ინტერიერის დიზაინი დედამიწის ნებისმიერ ქვეყანაში.

## PRЙSENTATION DE YOUR CONCEPT BY

Toujours a l'affыt de concepts innovants en matiиre d'architecture et de design et cherchant a rйaliser des lieux insolites, YOUR CONCEPT BY se distingue d'emblйe par son savoir-faire et son originalitй. Le bureau compte trois dйpartements distincts et complйmentaires : **Y.C.B. Architecture, Y.C.B. Architecture d'intйrieur et Y.C.B. Design.** Le bureau d'architecture aime concevoir des projets dans leur ensemble et envisager chaque construction comme un tout, ce qui apporte indйniablement une plus-value a chaque rйalisation. Les clients apprйcient d'avoir un unique interlocuteur et ainsi la garantie d'un projet cohйrent, dans lequel ils retrouvent les valeurs et le style de Y.C.B.. Le bureau est partisan des nouvelles technologies et encourage le dйveloppement durable. Et son fondateur d'ajouter « nous sommes persuadйs que l'architecte, tout comme l'architecte d'intйrieur, a un rфle a jouer dans une sociйtй oщ l'йcologie est au cњur des prйoccupations, nous essayons au maximum d'en tenir compte dans nos rйalisations (choix des matйriaux, respect de l'environnement, йconomie d'йnergie, …)». Le bureau d'architectes њuvre pour crйer des habitats йco-responsables. Choisir de faire appel a YOUR CONCEPT BY, c'est opter pour une architecture soucieuse des problиmes environnementaux. Convaincue que sa dйmarche est la bonne, l'йquipe de YOUR CONCEPT BY est au service de ceux qui, publics ou privйs, sont prкts a s'engager sur des voies nouvelles et innovantes pour notre futur. Le bureau YOUR CONCEPT BY, c'est une йquipe de spйcialistes reconnus, intervenant tout au long du projet, sous la direction d'un interlocuteur unique, ce qui contribue a une parfaite coordination des intervenants, a une meilleure anticipation des besoins et ce qui garantit, a chaque instant, une vision globale du projet.

## BIO EXPRESS DU FONDATEUR: UN PARCOURS ATYPIQUE

C'est en 1995, alors qu'il n'a que 25 ans que Ludovic Dupont dйcide de se lancer dans sa premiиre rйalisation : d'un sordide atelier de mйcanique gйnйrale verra le jour un somptueux loft de 450 ml. En effet, fascinй depuis toujours par l'art, le designer йrige en objets de prйdilection les espaces atypiques, les lieux d'exception et les endroits imprйgnйs d'une forte valeur artistique. Il mиne parallиlement une brillante carriиre dans l'immobilier de Prestige et cфtoie alors une clientиle йlitiste, qui n'hйsitera pas a lui confier la rйalisation de diffйrents projets sur Paris, Lyon, Genиve et sur la Cфte d'Azur (appartements, maisons, lofts, studios photos, …). Sa clientиle est d'emblйe sйduite par l'audace de ses prestations haut de gamme et sa meilleure publicitй reste alors le bouche-a-oreille. Passionnй et acharnй de travail, ce brillant architecte d'intйrieur est aujourd'hui fier de s'кtre formй en autodidacte. Ses 15 ans d'expйrience lui permettent aujourd'hui de se rйaliser a travers sa passion avec un style qui lui est propre : йquilibre chaotique entre le classique et le contemporain, entre le design et le confort, entre un univers traditionnel et des fantaisies avant-gardistes, entre des courbes chaleureuses et des lignes йpurйes. Animй depuis toujours par une ferveur artistique et un besoin de crйer des objets et des lieux sur-mesure, il dйcide de fonder en 2008 le bureau d'architecture YOUR CONCEPT BY a Genиve. Contactй par de plus en plus de marocains dйsireux de lui confier leur projet, il ouvre un bureau a Casablanca dйbut 2010. Ayant actuellement plusieurs projets en cours au Maroc, Ludovic DUPONT a souhaitй offrir a sa clientиle des prestations a l'image des valeurs vйhiculйes par son bureau d'architecture, basй a Genиve (exclusivitй, sur mesure, haut de gamme, ...) Toujours plus a l'йcoute de ses clients, il dйsire leur offrir un service de proximitй. Une йquipe hautement qualifiйe et ayant le mкme sens du perfectionnisme que le designer franзais le seconde donc sur place.

## PHILOSOPHIE / APPROCHE DU MЙTIER: CRЙER DES LIEUX UNIQUES

Pour le bureau d'architecture YOUR CONCEPT BY, concevoir est non seulement un savoir, mais aussi un devoir a offrir a ses clients. Il conзoit, rйalise et structure les espaces pour en faire des lieux en parfaite adйquation avec leur personnalitй. L'exclusivitй, le sur-mesure, la rigueur, … pour YOUR CONCEPT BY, un projet rйussi, c'est avant tout des clients satisfaits ! La relation de confiance qui s'йtablit avec les clients est primordiale. C'est un ensemble d'йlйments qui fait la diffйrence : la crйativitй, l'innovation et l'audace artistique sont essentielles. La fidйlitй de ses mandants est la meilleure preuve que le bureau Y.C.B. sait atteindre les objectifs de qualitй dйfinis au dйbut des projets. On retrouve chez les diffйrents collaborateurs du bureau une forme d'obsession du travail bien fait. Sous l'impulsion de Ludovic DUPONT, fondateur, YOUR CONCEPT BY offre a ses clients des solutions d'habitat et de travail, toujours meilleures.

## DOMAINES D'ACTIVITЙ

**ARCHITECTURE, ARCHITECTURE D'INTERIEUR, DESIGN / CONCEPTION, RENOVATION ET TRANSFORMATION, AMENAGEMENT D'ESPACES EXTERIEURS, SUIVI DE CHANTIER, CONSEIL EN DECORATION**

## ZONE D'ACTIVITЙ

YOUR CONCEPT BY est prйsent a Genиve, a Casablanca et sur la Cфte d'Azur. Par sa situation gйographique et son caractиre international, YOUR CONCEPT BY conзoit vos espaces en Suisse, en France et dans le reste du monde.











# თანამედროვე სახლი

**3500 მ² ფართობის მქონე ნაკვეთზე მდებარე 150 მ2-იანი სახლის რეაბილიტაცია**

არქიტექტურული ბიუროს „YOUR CONCEPT BY“ დამფუძნებელმა ლუდოვიკ დიუპონმა მოახდინა ლაჟვარდოვან სანაპიროზე, ზღვისპირიდან სულ რაღაც 8 კილომეტრში მდებარე ამ 150 მ²-იანი სახლის სრული რეაბილიტაცია. სახლი შეიცავს ერთ დიდ სივრცეს, რომელშიც ერთმანეთისგან მოქნილადაა გამოყოფილი სამზარეულო, სასადილო ოთახი და მისაღები ოთახ, სამ საძინებელს, კაბინეტს, სამრეცხაოს და საკუჭნაოს, რომლებიც ავტორმა მთლიანად გადაახალისა. განახლებული სახლი იმდენად ლამაზი გამოდგა, რომ მას უცებ გაუჩნდა მყიდველი.

## დასვენების სურვილის აღმძვრელი

NINO LAGHIDZE





# Brand shop



დიზაინერ ნათია კარიაულის პროექტით შექმნილი, ვაკის საფირმო მაღაზიის ინტერიერი თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე (შესრულდა კომპანია Branding.ge-ს მიერ შემუშავებული კონცეპციით) თანამედროვე ესთეტიკითაა გაჯერებული. მასში მკვეთრადაა გამოხატული სტილური დომინანტი. თავისუფალი გეგმარება, გეომეტრიზმი და ფორმათა გრაფიკა ესთეტიკასთანაა შერწყმული. გამოყენებული მასალის ფაქტურა და ფერი, არქიტექტონიკური ელემენტების პროპორციები ფუნქციურ-მხატვრული ხასიათის მატარებელია და ინტერიერის თვითმყოფადობას განსაზღვრავს.



Residential interior of Brand shop in Vake, in Tbilisi, designed by Natia Kariauli (commissioned with conception of company Branding.ge), is saturated with modern aesthetics. It has a distinctive stylistic dominant. Free planning, geometric precision and graphic solution of forms is integrated with aesthetic beauty. Textures and colors of finishing materials, the apparent aestheticism of the dйcor serve to highlight the originality of interior design. The modular composition of residential space and proportions of architectonic elements combine creativity with functionality and increase originality of interior.







# დიზაინერული კოლაჟი

თანამედროვე ინტერიერი, მისი დიზაინი და ავტორის მიერ მასში წარმოქმნილი, თემატური სცენარით შექმნილი ატმოსფერო, რთული, შემოქმედებითი გზის შედეგია. არქიტექტორის ხათუნა მიქაბერიძის (კომპანია არტX) პროექტით შექმნილი საოფისე სივრცეების - Universal Capital Group, Future Products Company, Georgian Lottery Company და ამ უკანასკნელის Booking Office (პირველი სამი კომპანია, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე საოფისე ბიზნეს ცენტრში - ე.წ.„პიქსელის" შენობაში, X სართულზეა ერთ სივრცეში განთავსებული, Booking Office კი ამავე შენობის პირველ სართულზე მდებარეობს) საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთჰარმონიულობით, თითოეულ შემთხვევაში ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია.

გახსნილი სივრცეები ერთიანად აღიქმება, თუმცა მათში ყოველი ცალკეული ელემენტი ერთგვარად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. მათი ლავირება შეუმჩნეველი ნიუანსებით წარმოებს. ინტერიერების ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურ სიბრტყეთა თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. მათი კომპოზიციური წყობა, ტონალობა, ფურნიტურასთან, აქსესუარებთან სინქრონი, სრულყოფილების შეგრძნებას ბადებს.

ნინო ლალიძე

ფოტო: ლევან დოლიძე






versal Capital Group
s Company
pany













# Design Collage

Creation of modern interior design with a thematic atmosphere and distinctive individuality is a complex, meticulous task, requiring a great deal of professionalism. Public space of Universal Capital Group, Future Products Company, Georgian Lottery Company and his Booking Office,in Business Center in Chavchavadze ave, designed by architect Khatuna Mikaberidze (ArtX company), represents an integral, live organism, consisting of harmoniously matched mobile units. The open space is perceived as a unity, nonetheless consisting of self-important and original elements, integrated by a carefully considered and unobtrusive structure of minor details. Each horizontal or vertical surface of the interior is an unordinary decoration, a part of design collage. Their compositional structure, tonality, matching with furniture and accessories evoke the feeling of perfection.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY LEVAN DOLIDZE








Georgian Lottery Company
Future Products Company/tepco-info@fpc.ge
Universal Capital Grup-info@ucg.ge
www.georgianlottery.com
Future Products Company/tepco-info



# ექსკლუზიური გარემო

არქიტექტორ ხათუნა მიქაბერიძის პროექტით შესრულებული საცხოვრებელი ბინის ინტერიერის გამომხატველობას, მისი განუმეორებლობა განსაზღვრავს. მასალისა და ფორმის ლაკონურობა, ორიგინალური დიზაინი და კომპოზიციური გრაფიკა,სივრცეს ვიზუალურ ჟღერადობას მატებს. ინტერიერზე მუშაობისას, ძირითადი კონსტრუქციის „გამჭვირვალობიდან“ გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მუდამ მთლიან სივრცეში ვიმყოფებით და არა მის რომელიმე ნაწილში. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, არქიტექტორის პროფესიონალიზმს, გემოვნებას, შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მის მიერ შემუშავებული თემატური სცენარით შთამბეჭდავი გარემო წარმოიქმნა, რომლის კოლორიტი ცალკეული „მოდულური“ ელემენტებით, ტონალობათა ლავირებითაა შექმნილი. მთლიანობაში კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას ექსკლუზიური გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და კომფორტის გარანტი - კონკრეტული ოჯახისათვის.

ნინო ლალიძე

ფოტო: ლევან დოლიძე







# Creating environments





This residential interior in Pekini str., in Tbilisi designed by architect Khatuna Mikaberidze. Due to ,, transparency,, of general composition, each of their designs leavesan impression of integrity which cannot be broken down into separate spaces. Classiced distribution and diversity of geometrical forms, reserved use of carefully picked and matcheddwtails, impressive compositional pattern reveal the designers taste, professionalism and creative principles.

Khatuna Mikaberidze is masterful in creating environments which evoke comfort and peace-per-

sonalized living spaces where both repose and work are equally pleasant.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: LEVAN DOLIDZE









# კომფორტი და სისადავე

დიზაინერების ნატა ჯანბერიძის და ქეთი თოლორაიას (Rooms Design ჯგუფი) პროექტის მიხედვით შექმნილი რესტორნის, THE DINNING ROOM (თბილისი, ფალიაშვილის ქ.) ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავე გახდა.

მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულონელობებზეა აგებული. მისი მთავარი ნიშანია კომფორტი და სისადავე, რომლითაც თითოეული დეტალია გაჯერებული. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში არაორდინალურ ჩართვებს განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის.

ინტერიერის არქიტექტონიკა მარტივიცაა, რთულიც, ლამაზიც და „არქიტექტურული ჟანრის" ყველა კანონის მიხედვით ვითარდება. სივრცის მთლიანობის შთაბეჭდილება კომპოზიციის დინამიზმით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მიხედვით, ფერების ლავირებით, მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტების რითმებითაა მიღწეული. ყოველივე კი ინტერიერში, კიდევ ერთ, მისი „ვიზუალური მოძრაობის" - ტრანსფორმიზმის იდეას განახორციელებს.

ნინო ლაღიძე





# ROOMS DESIGN



In the interior of THE DINNING ROOM restaurant in Paliashvili st., in Tbilisi designed by designers Nata Janberidze and Keti Toloraia (Rooms Design), key principles organizing and integrating the space is minimalism and simplicity. Main distinguishing feature of the design is the philosophy of existence – comfort and simplicity, saturating every part of the interior – an approach, justifying originality in modern stylistics.

Interior architectonics is both simple and complex, visually pleasant while conforming to all the requirements of modern architecture. The impression of integrity is achieved by dynamism of the composition, soft zone-to-zone transition of interior decoration, ingenious combination of black and white, rhythmical dsitribution of volume and space.

One more idea, realized in interior design is the conception of visual movement – transformism, reflected in special effects and unexpected design solution systems.

NINO LAGHIDZE



# Comfort and Simplicity



ROOMS DESIGN







# დომინანტი სივრცეში



ილია გავრილიადი
ILIA GAVRILIADI



გრანტ მარქაროვი
GRANT MARKAROV



თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, მაღაზია-სალონის SOFTMASTER-ის ინტერიერი არქიტექტორების, გრანტ მარქაროვის და ილია გავრილიადის (არქიტექტურულ-დიზაინერული სტუდია „გილარდი“-ს დამფუძნებლები) პროექტით განხორციელდა. პირველ რიგში თვალსაჩინოა ოფისის ფრონტალური მხარე. არქიტექტორებმა არსებული შენობის ფასადის შეუცვლელად, ორიგინალური, დიზაინერული გადაწყვეტით, წინა პლანზე წამოსწიეს გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის კონცეპცია - ოფისის ფრონტალი წარმოადგენს ერთიან, ალუმინის ჩარჩოში ჩასმულ მინის სიბრტყეს, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება - იგი, ერთდროულად „იცავს“ არსებულ ფასადს, წარმოადგენს ოფისის მთავარ შესასვლელს (მასში ჩართული მინისავე კარით) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისთავად არაორდინალური არქიტექტურული ელემენტია. ინტერიერი მთლიანად გახსნილია ქუჩასთან. საერთო სივრცის გონივრულად დაცული ზონირებით, როგორც საოფისე, ასევე საზოგადოებრივ მონაკვეთებში, ორიგინალური დიზაინერული ხერხებით, ჰორიზონტალში მინიმუმამდეა დასული „გზების“ გადაკვეთა. შესვლისთანავე შეიგრძნობთ, რომ ინტერიერი ფერითი და დეკორატიული გადაწყვეტით, უჩვეულო, საავტორო ფურნიტურით, აქტიური და ლოკალურია, რაც მისი იერსახის განმსაზღვრელია. დიზაინში, ავტორებისთვის დამახასიათებელი მანერა, სტილი, თვალსაჩინო პირობითობა, მთლიანი სივრცის ორიგინალური კომპოზიცია, ნათლად გამოიკვეთება.

საზოგადოებრივ სივრცეში მოცემული თემატიკა თვითმყოფადია, გულდასმითაა დამუშავებული და სხარტი გადაწყვეტით გამოირჩევა, რაც სასიამოვნო, კომფორტულ სამუშაო გარემოს ქმნის.

ნინო ლალიძე

ფოტო: ბორის მარქაროვი, ალექსანდრე მამულოვი





# Dominant in space



Interior of SOFTMASTER showroom, located in Chavchavadze Avenue, Tbilisi, has been created by architects Grant Markarov and Ilia Gavriliadi ( Founders of architectural-design studio GILARDI).Reasonable zoning of the interior space allows for minimal overlapping between office and public areas. Coloring and spatial solutions are active and localized, defining the image of the showroom. The design efficiently reveals the authors' manner and style as well as original composition of the space. The dominating element of interior design is the contrast of local colors. Thorough development and original solution of the general theme, masterful distribution of design dominants create a really pleasant, comfortable environment.

NINO LAGHIDZE

PHOTO BY: BORIS MARKAROV, ALEXSANDR MAMULOV









# სტილისტური მთლიანობა

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲔᲠᲐᲖᲔ**



**ავტორი: არქიტექტორი ლევან კოკაია**

*1975 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი.*
*1983 წლიდან - არქიტექტორთა კავშირის (ყოფ. საბჭოთა კავშირის)* ***UIA*** *წევრი;*
*1991 წლიდან - საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი;*
*1995 წლიდან - რუსეთის არქიტექტორთა კავშირის (სანკტ-პეტერბურგის ორგანიზაცია) წევრი;*
*1975-1994 წწ. მუშაობდა თბილისის „სახქალაქმშენპროექტში“, წამყვან არქიტექტორად, I სახელოსნოს ხელმძღვანელად;*
*1987-1992 წწ - არქიტექტურული სტუდიის -* ***DELTA*** *(თბილისი) ერთ-ერთი დამფუძნებელი;*
*1989-1995 წწ - კავშირთან არსებული არქიტექტურული ფონდი - „ლევან  კოკაიას სტუდია“ (თბილისი) - ხელმძღვანელი, მთავარი არქიტექტორი;*
*1993 წლიდან - დიზაინის სტუდიის* ***MODULOR*** *(სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი) - მთავარი არქიტექტორი.*

ლევან კოკააიას პროექტებით განხორციელებულია მრავალი საინტერესო ობიექტები, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ამჟამად წარმოგიდგენთ საცხოვრებელი სახლის ინტერიერს ვერაზე, თბილისში.

საცხოვრებელი ინტერიერის არქიტექტონიკა დახვეწილია და მის აღქმას კომპოზიციისა და პირობითობის სხვადასხვა ხარისხის თანაარსებობა ამძაფრებს. სივრცის დადებითი „ეკოლოგია“ მასში მოხვედრისთანავე შეიგრძნობა. არსებული არასახარბიელო პროპორციების შეცვლა ავტორმა საკუთარი პროფესიული ინტუიციის არსებულ პირობებთან ადაპტირებით შეძლო. ინტერიერის მთლიანობა ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით, ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, ხაზებისა და ფიგურების დიალოგითაა მიღწეული.

სივრცის ყოველი მონაკვეთის ინდივიდუალურობა შენარჩუნებულია. დეკორის ფერისა და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს; განათების სხვადასხვა ინტენსივობა კი ხაზს უსვამს ფორმისა და ფერის სიღრმეს. პროფესიონალიზმი ყოველთვის დეტალებში გამოვლინდება - ავტორის გემოვნებამ და მუშაობის დახვეწილმა სტილმა სრულიად განსაზღვრა ინტერიერის სტილისტური მთლიანობა და მისი ცხოვრების წესთან შესაბამისობა.

ნინო ლალიძე







# Stylistic Integrity

*Architect: Levan Kokaia*
*Education - Georgian Polytechnic University, Tbilisi Faculty of Architecture. 1979-1975. Membership:UIA, Union of Architects (former USSR), 1983; Union of Georgian Architects, 1991;*
*Union of Russian Architects (St Petersburg branch), 1995;*
*Work experience: Georgian State Institute for Urban Development, Design and Construction (GRUZGIPROGORSTROI), Tbilisi .1975-1994;*
*Studio "DELTA" architecture, design, engineering, Tbilisi. Co-founder, chief architect.1987-1992;*
*Architectural Fund, Levan Kokaia Studio, Tbilisi. Chief Architect, Director. 1989-1995;*
*MODULOR Design Studio, St Petersburg, Moscow. Chief Architect, Since 1993.*

Levan Kokaia has designed created interior design projects with crucially differing functions in Geoergia and in abroad as follows, we published Levan Kokaia's new work - residential interior in Vera district, in Tbilisi .

Refined architectonics of the residential interior integrates several compositional and conventional layers, highlighting originality of the design. The first impression one feels upon entering the home is the positive ecology of the interior space. The author skillfully adapted unfavorable proportions of the interior to the new requirements. Impression of integrity is achieved by a unified compositional solution, soft transition of decorations and colors from zone to zone and from surface to surface, an intricate system of spatial solutions, dialogues and refrains of lines.

Stylistic integrity does not subdue originality of different sections of the interior, highlighted by distinctive colors and textures. Varying intensity of artificial lighting further accentuates the depth of form and color. Professionalism is best revealed in the approach toward minor details. Tasteful design style gave successful finishing touches to the interior of residential and integrated it into the surrounding life.

NINO LAGHIDZE

















# დიზაინის ესთეტიკური ნიუანსები

არქიტექტურის, დიზაინის აღქმა, პირველ რიგში ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა წარმოქმნიდეს, რასაც გეგმარებითი ჩანაფიქრის მოცულობითობა, ობიექტისთვის ზუსტი ადგილის შერჩევა, კომპოზიციის სივრცობრივი წყობა, ტექნიკისა და სივრცის ფუნქციური სტრუქტურის ახალი, პროგრესული სინქრონი განაპირობებს.

ნათქვამი ზედმიწევნით მიესადაგება, არქიტექტორის, ალეკო კორკოტაშვილის პროექტებით, ამჯერად წარმოდგენილი განხორციელებული ობიექტების მოცულობით თუ გეგმარებით გადაწყვეტას.

მათი ორიგინალური სტრუქტურის მქონე სივრცეები, ყოველთვის სასიამოვნო შეგრძნებებს წარმოშობენ და თვითმყოფადობით გამოირჩევიან. ცალკეულ მოცულობათა ფორმები თავიანთ ფუნქციას არა იმდენად განახორციელებენ, რამდენადაც გამოხატავენ, რაც მათ შესახებ ავტორის ხატოვან წარმოსახვას იძლევა. ინტერიერთა მოცულობითი დიზაინი, დანიშნულების სპეციფიკურობის აღქმას აძლიერებს და ჰაეროვნებას მატებს ცალკეულ სივრცეს. არქიტექტონიკული მასები თავიანთი პარამეტრებით, პროპორციული წყობით მთლიან მოცულობას განსაკუთრებულ გამომხატველობას ანიჭებენ.

მოცულობის წარმოჩენის თავისებური, პროფესიული ხედვა ინტერიერთა მთლიანობის, მოქნილი სილუეტის, თანამედროვე ხასიათის განმსაზღვრელია. ლამაზი ფურნიტურითა და საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია. მშვენიერი, ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, რადგან იგი მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიად გარდაქმნას მოითხოვს. დეტალები, დიზაინში, არაორდინალური გამოვლინებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. იგი ხილული თუ უხილავი ბარიერებით შექმნილ მსუბუქ ერთიანობას წარმოადგენს, სადაც საერთო „კოლორიტი“ დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის მკვეთრი ტონებითაა აქცენტირებული. ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნოა ადამიანებისათვის ამგვარ სივრცეებში თავშეყრა, საქმიანობა და ურთიერთობა.

ნინო ლალიძე



საცხოვრებელი ბინა. ყაზბეგის ჩიხი, თბილისი
RESIDENTIAL HOUSE IN KAZBEKI ST., TBILLISI



საცხოვრებელი ბინა ვაკეში, თბილისი
RESIDENTIAL HOUSE IN VAKE, TBILLISI



საცხოვრებელი ბინა. ყაზბეგის გამზირი, თბილისი
RESIDENTIAL HOUSE IN KAZBEKI AVE., TBILLISI











გია გვარამია ესთეტიკური მედიცინის ცენტრი
(ყაზბეგის გამზირი №1)
GIA GVARAMIA'S AESTHETICAL MEDICAL CENTRE
(1 KAZBEKI AVE, TBILISI)











საცხოვრებელი ბინა „შანხაისთან“, საბურთალო, თბილისი
RESIDENTIAL HOUSE NEAR `SHANKHAI~, SABURTALO, TBILLISI.

# Aesthetic Components of Designe

Perception of designe should be firstly based on aesthetic pleasure, stimulated by innovative, progressive combination of planning, site positioning, spatial distribution of the composition, technique and functional structure of the interiors.

In the light of the above, we would like to draw your attention to the design and planning solution of this interiors, designed by architect Aleko Korkotashvili.

The compact, originally structured interiors dominates beautiful natural setting and unifies the surrounding space without being disintegrated from the environment. The shapes of open volumes not so much conform to as express their function, which manifests the author creative approach. Design of interiors highlights its purpose and adds transparency to vast open spaces. Masses with their dimensions and proportionate distribution increase expressivity of the general volume.

Special, professional approach toward highlighting the values of the Interiors defines flexibility of its silhouette and originality of its style. Its refined architectonics and mysterious design, accentuated by carefully chosen furniture and accessories adds charm to any part of the construction. Designe of the interiors are an integral space, broken up by various visible and invisible barriers, where the general character is highlighted by decorative accessories and sharp colors of the furniture

NINO LAGHIDZE

გია გვარამიას კლინიკის სოლარიუმი (ყაზბეგის გამზირი №29/22)
SOLARIUM OF GIA GVARAMIA'S CLINIC (29/22 KAZBEKI AVE, TBILISI)





# ENNEZERO

## Company Profile

ENNEZERO – Advanced Home Design – The state of the art and design, continuous research, developing aesthetic and technological contents, open to influences from the world of the arts and of philosophy, with the aim of creating absolutely innovative, unique objects and furnishings, permeated by a new critical attitude towards how things function: that is the dynamic mindset that drives our firm.

Ennezero's corporate philosophy has always been based on furniture conceived as a vehicle for conveying emotions.



## FINGER PRINT

Square and rectangular mirrors, 4 mm thick, mounted in a frame made of matt lacquered MDF. The drawing of a fingerprint is screen-printed using a photo-luminescent varnish made with an environment-friendly chemical base. Available in one square size (500x500 cm) and two rectangular size (1000x500 and 1500x500 cm)

## YOUR TURN

Coffee table made of curved multilayered ply with a polished lacquer finish. Before the chequerboard image is applied to its lower part - using a digital printing technique - its base is treated with a photo-luminescent varnish comprising environment-friendly ingredients, then polished.
The shaped top holds a crystal surface/tray.
Dimensions: 120 x 80 x 40 h cm





## FEEL GOOD

An elliptical mirror, 4 mm thick, mounted in a frame made of matt lacquered MDF. The human silhouette depicted on the mirror is the pictogram for the words “feel good”; it is screen-printed using a photo-luminescent varnish made with an environment-friendly chemical base. Dimensions: 180 x 90 cm

**DI PALMA ASSOCIATI**
**Milano, Italy**



# ვენეცია 2010 Venezia

2010 წლის 29 აგვისტოს გაიხსნება ვენეციის არქიტექტურული ბიენალეს მე-12 საერთაშორისო გამოფენა, რომელიც გაგრძელდება სამი თვის განმავლობაში.

არქიტექტურის ოსკარად აღიარებულ ვენეციის ბიენალეში ყოველ ორწელიწადში ერთხელ მრავალი ქვეყნის, როგორც არქიტექტორები ასევე სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

წლევანდელი ბიენალეს კურატორია პრიცკერის პრემიის 2010 წლის ლაურეატი იაპონელი არქიტექტორი კაციო სეჯიმა.

საქართველოს ნაციონალური პავილიონი, რომელიც განთავსდება ჯარდინიების საგამოფენო სივრცეში ორგანიზებას უწევს საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.

ასევე 2006 და 2008 წლების ვენეციის მე-X და XI ბიენალეზე არქიტექტორთა კავშირის ორგანიზებით საქართველოს ნაციონალური გამოფენები გაიმართა სან-მარკოს მოედანზე სან-გალოს საგამოფენო სივრცეში.

XII ბიენალეს თემაა „არქიტექტურა, როგორც შეხვედრების საშუალება“ ქართული პავილიონის ინსტალაციაში ვითარდება კონცეფციით „არქიტექტურა კონფლიქტების გარეშე“, (იგულისხმება ბუნებრივ გარემოში უკონფლიქტო ჩართვები).

21-ე საუკუნეში კაცობრიობას მოუწევს პასუხის გაცემა ისეთ კითხვებზე, როგორიცაა გლობალური დათბობა, შეზღუდული რესურსები, ენერგიის, წყლის, ჰაერის, ნიადაგის და ნედლეულის დაუბალანსებელი გამოყენება და ა.შ.

დადგა დრო, როდესაც არქიტექტორებმა უნდა ვიფიქროთ ამ პროცესებში ჩვენს წილ პასუხისმგებლობაზე (როდესაც ხშირად ხელს ვუწყობთ მრავალ თანამედროვე ქალაქში შეიქმნას ბეტონის, ფოლადის, მინის უზარმაზარი აგლომერატები) და არქიტექტურაზე, როგორც მოსალოდნელი კატაკლიზმების თავიდან აცილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრევენციულ საშუალებაზე.

ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებზე დაფიქრებისა და გააზრებისათვის საქართველოს ნაციონალური პავილიონის ინსტალაციის პროექტს საფუძვლად დაედო იდეა „სიმბოლური პაუზა“.

ამ თვალსაზრისით პროექტი წარმოადგენს მწვანე მოლზე განთავსებულ ღია-გახსნილ-გამჭოლ სივრცეს, რომელშიც გრძივად დაფენილია სინთეტური ფერადი ბადე-ბილიკი.

ინსტალაციისა და კომპოზიციის ძირითადი ელემენტია ქართულ ეთნოგრაფიული დარბაზის ჭერის იმიტაცია, – (სადაც ტრადიციულად სათათბიროდ და სანადიმოდ იკრიბებოდნენ ადამიანები) – ამ შემთხვევაში „სიმბოლური პაუზა“ – შეჩერების ადგილი, სადაც კიდევ ერთხელ ვფიქრდებით და ვიწყებთ დიალოგს ხსენებულ პრობლემებზე – ბუნებრივი და ხელთქმნელი გარემოს შორის ხშირ კონფლიქტებზე – მათ შორის ჰარმონიის დეფიციტზე.

***დავით აბულაძე***
*საქართველოს არქიტექტორთა*
*კავშირის თავმჯდომარე*
*ვენეციის არქიტექტურული ბიენალეს*
*მე-12 საერთაშორისო გამოფენის*
*ქართული პავილიონის კომისარი*

On 29 August,2010, Venice Architecture Biennale's XII Architectural Exhibition will be opened, and will last for 3 months.

Venice Architecture Biennale, known as "Architecture's Oscar", is happening every two years, hosting architects and governmental bodies from many countries.

This year, Biennale's Curator is holder of Pritzker Prize 2010, Japanese architect Kazuyo Sejima.

Georgian national pavilion, which will be located in Jardin exhibition space, is organized by Georgian Union of Architects.

On X and XI biennales, in 2006 and 2008, Georgian national pavilion was located on San Marco square, San-Gallo Exhibition space.

The theme of 12 th International Architecture Exhibition – La Biennale di Venezia–People meet in architecture we developed with following consideration –Architecture without conflicts.

Accordingly we have named the Georgian national exhibition as - Dialog about architecture-Dialog with Environment. In this statement we mean the universality of natural and human making environment.

In the 21st century humankind must respond to the questions such as: global warming, limited resources, imbalanced use of energy, water, soil, and air, raw materials.

The time has come when architects must think about our responsibility in above mentioned processes - When we often encourage of using steel, concernment and glass huge conglomerates in modern cites, architects must consider architecture as a tool to prevent feasible cataclysms.

We use symbolic pause – minute, momentary stop in installation project for reflection and consideration on such important questions.

Composition of Georgian pavilion is an open, through area situated on green grass, sward, it represents symbolically shady arch, where for imitation of path there is a colored synthetic net on the grass crossing the arch , the central part of arch created imitation of cell of Georgian traditional hall, where Georgians usually feasting and had meetings . Follow this path in the arch it appears necessity for momentary stopping which gives you possibility to see photos on the installation walls representing conflict situation in the nature, at the same time you have a chance to think again about the role of architects solving these very important problems.

Green path, arch and the necessity of symbolical pause - lead us to opinion of importance harmony of human interaction with natural environment.

In addition to the pavilion the visitors will receive the print materials of Georgian ethnography.

***DAVID ABULADZE***
***Commissioner of Georgia Pavilion -12 th International Architecture Exhibition – La Biennale di Venezia***











PHOTOLIFE STUDIO

# "წეროვნის ფოტოდღიურები"

პატარა მოცეკვავეები, თონეში წელამდე ჩაკრული ქალები, ქართული და ევროპული დელეგაციების საქმიანი შეხვედრები, პატარების სადილი და საბავშვო ბაღის სამზარეულოში მოფუსფუსე ქალები – კიდევ უამრავი სხვა ნიუანსი იმ ადამიანების ყოველდღიურობისა, რომლებსაც რუსული ინტერვენციის შედეგად იძულებით მოუწიათ საკუთარი კერიის მიტოვება. 40 ფოტოსგან შემდგარი ფოტოსერია, სადაც წეროვანში დროებით ჩასახლებულ დევნილთა ყოველდღიურობაა გადმოცემული, 29 აპრილს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გამოიფინა.

საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის ფოტოპროექტი "წეროვნის ფოტოდღიურები" ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ასოციაციის წევრი 12 ფოტოგრაფი რამდენიმე ფოტოსესიის განმავლობაში ფოტოფირზე აფიქსირებდა წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებთა ყოფას, მათ ემოციებს, საქმიანობას.

– დიდი ტრაგედიისა და საკუთარი კარმიდამოს იძულებით მიტოვების მიუხედავად, სახელმწიფოს ხელშეწყობით ამ ადამიანებს დღეს საკუთარი კერა კვლავაც გააჩნიათ, არ დაუკარგავთ ცხოვრების წყურვილი, საკუთარ სოფლებში დაბრუნების იმედი და კვლავაც შესწევთ უნარი და ძალა, ცხოვრება გააგრძელონ მომავლის იმედით – ასეთი იყო ფოტოგამოფენის მთავარი გზავნილი.

ფოტოპროექტი უნიკალური იყო იმ თვალსაზრისით, რომ ფოტოგადაღებები შავ-თეთრ ფირზე განხორციელდა და მონაწილეთა მიერ ხელით, პროექციული ბეჭდვის მეთოდით დაიბეჭდა. ხელით ნაბეჭდი ფოტოების გამოფენა თბილისში ათ წელზე მეტია, არ გამართულა, ამიტომაც ეს გამოფენა მნიშვნელოვანი განაცხადია თანამედროვე ქართულ ფოტოგრაფიაში.

ფოტოპროექტი "წეროვნის ფოტოდღიურები" საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა. ამავე პროექტის ფარგლებში მზადდება სპეციალური ვებგვერდი (www.tserovanilife.ge), სადაც განთავსდება როგორც საგამოფენო ექსპოზიციები, ასევე პროექტის განხორციელების ეტაპების ამსახველი ფოტო და ვიდეო რეპორტაჟები, სატელევიზიო სიუჟეტები და საგაზეთო პუბლიკაციები.















# Tserovani Photo Diaries

Little dancers, women leaning into the bread-baking ovens, meetings of Georgian and European delegations, children dining and kindergarten personnel fussing in the kitchen – these and innumerable other moments, reflecting everyday life of people, who had to abandon their homes as a result of Russian intervention… The series of 40 photographs, conveying the life of IDP settlement in Tserovani, was exhibited in the Youth Center of Sameba Cathedral on April 29 2010.

Project "Tserovani Photo Diaries", launched by Association of Photographers of Georgia, lasted for over two months. Twelve Association members were involved in photo sessions, aiming at capturing of the life, emotions and activities of internally displaced persons, populating Tserovani.

These people, who lost their homes so tragically, have the roofs over their heads; their zest for life has not waned, they still hope to return to their villages and still preserve the ability to continue to work for the bright future – this was the key message of the exhibition.

The project was unique in that the photo sessions were performed in black and white and printed by participants manually, using the optical printing technology. Considering that Tbilisi had not hosted exhibitions of manually printed photos for over 10 years, this exhibition became an important statement in modern Georgian photography.

Project "Tserovani Photo Diaries" was carried out with the support of Ministry of Refugees and Settlement of Georgia. The project also provides for creation of special web page (www.tserovanilife.ge), which will feature both exhibition materials and the photo and video clips, TV news releases and newspaper publications, reflecting implementation of the project.






ვენერას ოტორინოლოგიური თავი 1964 წ.
OTORHINOLOGICAL HEAD OF VENUS

# სალვადორ დალი წინანდალში

10 მაისს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კლუბმა "არქიტექტურა და ტურიზმი" მოაწყო ექსკურსია წინანადალში, სალვადორ დალის ნამუშევრების სანახავად. ცნობილი ესპანელი სიურეალისტის ფერწერული და სკულპტურული შედევრები გამოფენილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში. მეტად შთამბეჭდავი იყო დალის ფერწერა, ნატურმორტები, თუ აბსტრაქტული კომპოზიციები შესრულებული თავისუფალი წერის მანერით ინტენსიური ფერის გამოყენებით. მცირე ზომის სკულპტურული ნამუშევრებიდან საინტერესო იყო ქალის თავი, რომელსაც ცხვირზე აქვს ყური, ხოლო ყურზე ცხვირი. არქიტექტორებმა დაათვალიერეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, რომელსაც 2008 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო სახელოვანი ქართული გვარის მამული, სახლი უზარმაზარი ბაღით, რომელიც მე-19 საუკუნის არისტოკრატი-



კუბისტური ანგელოზი 1983 წ.
THE CUBIST ANGEL









ბეთჰოვენის თავი 1983 წ.
BEETHOVEN'S HEAD



ღვთიური წუთები 1971 წ.
LE SUBLIME MOMENT



სიურეალისტური ანგელოზი 1983 წ.
THE SURREALIST ANGEL





# Salvador Dali in Tsinandali

On May 10 the Club of Architecture and Tourism, established at the Union of Architects of Georgia, organized a tour to the exposition of Salvador Dali's works in Tsinandali. Paintings and sculptures of famous Spanish surrealist were displayed in the exhibition hall of Alexander Chavchavadze house-museum. Dali's paintings – still-lives and abstract compositions painted in free technique with intensive use of color – were highly impressive. Of the small sculptures exhibited the most interesting was woman's head with nose attached in place of an ear and ear sticking out in place of nose. The architects also toured Alexander Chavchavadze's house-museum – magnificent aristocratic family estate nestled in a huge park, which was so popular among the 19th century nobility. The museum, reconstructed in 2008, contains exhibition and concert areas, enabling visitors to attend a variety of cultural events.





სერია: ბანქო
სათაური: „ჯვარის ვალეტი“
1970 წ.
ქაღალდი: ხელნაკეთი
შიფონი (65X50)
SERIES: PLAYNG CARDS
TITLE: "VALET OF CROSS"
PAPER:CHIFFON FAIL MAIN



სერია : Currier& Ives. „ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი“
(56X76). ლითოგრაფია, გრავიურა 1971 წ.
SERIES: CURRIER & IVES. "NEW YORK CENTRAL PARK".
LITHOGRAPH + ORIGINAL ENGRAVING





სერია: ყვავილობა. მიხაკი (+გასაღებები) 1972 წ. (78,5X97,5)
ლითოგრაფია+ გრავიურა
SERIES: FLORANS. "CARNATION (+KEYS):
LITHOGRAPH + ORIGINAL ENGRAVING



# არაჩვეულებრივი გამოფენა"









"არაჩვეულებრივი გამოფენა" - 80-იანელების მოძრავი გამოფენაა, რომელიც 2007 წლიდან საქართველოს მასშტაბით ეწყობა. იდეის და პროექტის ავტორია 80-იანელების წარმომადგენელი, მხატვარი მიხეილ იაშვილი. პირველად, გამოფენა კახეთში, თელავში გაისხნა. შემდეგ, 2008 წელს, თითქმის აგვისტოს ომის პერიოდში სვანეთში - მესტიაში გამოიფინა. 2009-ში იგი რაჭის ამბროლაურმა იხილა.

წელს კი 5 მაისს ზუგდიდში, არტ გალერეაში მოეწყო მოძრავი გამოფენის ექსპოზიცია. მასში ორმოცდაცხრამეტმა 80-იანელების წარმომადგენელმა მხატვარმა მიიღო მონაწილეობა.

თავად, მიხეილ იაშვილი თვლის, რომ აუცილებელია ქართველ მხატვართა ნამუშევრები საქართველოს ყველა რეგიონში გამოიფინოს, რათა საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ იხილოს თანამედროვე ქართული ხელოვნება - ის, რაც 80-იანელებმა ისწავლეს, შექმნეს და ამით, ერთგვარად „ვალს უბრუნებენ“ ქვეყანას. რეგიონებში მოწყობილი მოძრავ გამოფენათა ექსპოზიციები ევროპულ სტანდარტებს, პასუხობს. ეს რა თქმა უნდა მისასალმებელია, თუმცა ფაქტი უფრო მნიშვნელოვნია და საჭირო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნამუშევრების დიდი ნაწილი ზუგდიდის საგამოფენო დარბაზს საჩუქრად გადაეცა. ასე მოხდა თელავშიც და მესტიაშიც., ამბროლაურშიც. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა - 80-იანელების დანატოვარს, ნამუშევრები იქაურმა მხატვრებმა დაამატეს და თითქმის ყველგან, თანამედროვე ხელოვნების მუდმივმოქმედ გამოფენას (განყოფილების გახსნას) ჩაეყარა საფუძველი.

გადაწყვეტილია, რომ მხატვრები მოძრავ გამოფენას ჩაიტანენ ხევსურეთში, მერე გურიაში, მერე - თუშეთში. იგი თანდათან მთელ საქართველოს მოივლის და ყველას ექნება შესაძლებლობა იხილოს - 80-იანელების შემოქმედება.

პროექტის - .„არაჩვეულებრივი გამოფენის“ ავტორს, გადაწყვეტილი აქვს საქართველოს ყველა კუთხიდან თითო მხატვრის ნამუშევრები შეკრიბოს და მათი "არაჩვეულებრივი გამოფენა" თბილისში მოაწყოს. დაგეგმილი აქვს, ასევე ამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტის - „არაჩვეულებრივი გამოფენის“ წიგნად გამოცემა.

# An Unusual Exhibition









“Unusual Exhibition” is tourist exhibition of artists-1980’ers, which is regularly arranged in different locations all over Georgia since 2007. The idea and project was conceived by artist Mikheil Iashvili, representative of the 1980’ers’ movement. In summer 2008 (almost overlapping with war period) Unusual Exhibition took place in Mestia, Svaneti; in 2009 the event was hosted by Ambrolauri, Racha.

This year, Unusual Exhibition was arranged in Zugdidi Art Gallery with participation of 59 1980’er artists.

In Mikheil Iashvili’s opinion, the works of Georgian artists should be exhibited in all regions of Georgia, so that the public – and especially the younger generation – can get familiar with modern Georgian art, the art 1980’ers learned, created and paid as a tribute to their home country.

The tourist exhibition, arranged in various locations all over the country, fully comply international standards. This is plausible in itself, though the fact of each exhibition having taken place is much more important. It is noteworthy that half of the paintings, exhibited at Unusual Exhibition in 2009, were passed to Zugdidi Art Gallery as a gift. The same happened in previous years in Telavi, Mestia and Ambrolauri. Results exceeded all expectations – legacy of the tourist exposition was enriched by local artists and grew into constantly ongoing exhibitions of modern art in each locality.

The artists are determined to take their exhibition to Khevsureti, Guria and then Tusheti. Step by step, Unusual Exhibition will tour the whole Georgia, so that everyone has a chance to take a look at the 1980’ers’ art.

Mikheil Iashvili is also determined to collect paintings of artists originating from the regions, covered by his project, and arrange the Unusual Exhibition of these paintings in Tbilisi. His other plan is to publish this highly important project as a book.













# თბილისის გეოფიზიკის ობსერვატორია და არქიტექტურა

მე-19 საუკინის თბილისი რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყანაა, სადაც მეფის მთავრობა გადასახლებაში გზავნიდა იმპერიის არასაიმედო, ურჩ მოქალაქეებს. ეს მოქალაქეები კი ძირითადად არარუსები იყვნენ. უფრო კი გერმანელები და პოლონელები. მათ სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში არქიტექტურისა და მეცნიერების გამოცოცხელბა, მათ შემოიტანეს ევროპული დამოკიდებულება სხვადასხვა დარგების მიმართ. საქართველოში არ არსებული მეცნიერების ჩამოყალიბება. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია თბილისში გეოფიზიკური ობსერვატორიის შექმნა.

ქალბატონმა მაია მანიამ დიდი შრომა გასწია და საზოგადოებას აჩუქა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის შექმნის ისტორია და არქიტექტურა.

განსაკუთრებით საინტერესოა თბილისში გერმანელ კოლონისტთა ჩამოყალობება. “1817, 1818, 1819 წლებიდან საქართველოში ჩამოსახლებულმა გერმანელმა კოლონისტებმა თბილისსა და მის გარეთ მრავალი ფუნდამენტალური საქმე წამოიწყეს”. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია მეცნიერს არნოლდ მორიცს, რომელმაც შექმნა თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიის კომპლექსი. ასაშენებლად აირჩიეს თბილისის ძველი კუკიის მიწა. ეს არის დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტისა და თამრ მეფის ქუჩის და ხიდის გადაკვეთაზე. იმ დროისათვის ეს ტერიტორია კუკიად მოიხსენიებოდა.

ქალბატონმა მაიამ შეისწავლა საქართველოს ეროვნეული არქივის, საქართველოს გეოფიზიკური მეცნიერებათა ისტორიის მუზეუმის, ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმის, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მასალები. ასეთი სრულყოფილებით დასმული ამოცანის შესრულება მოწმობს ქალბატონ მაიას მეცნიერული კვლევის მაღალ უნარს და პროფესიონალიზმს. აქ მაია გვევლინება როგორც ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე. წიგნი ორენოვანია - ქართული და ინგლისური. ეს კიდევ უფრო ზრდის წიგნის მკითხველ საზოგადოებას. წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ნაშრომის წიგნად გამოქვეყნება ითავა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა ვერნერ ვიოლმა, რომელმაც მნიშვნელოვნად მიიჩნია გერმანელი მოღვაწეების წვლილის წარმოჩენა.

ლერი გოშაძე





# Geophysical Observatory in Tbilisi













19th century Tbilisi was the administrative center of a province on the outskirts of the Russian Empire, often used as a place of exile for unreliable, unruly citizens. Names of many such disloyal people are connected with revival of art and science in the 19th century Georgia – they introduced European approach into many different spheres of culture and accelerated scientific development. One of the easiest examples coming to mind is geophysical observatory in Tbilisi.

A highly scientific research on history and architectural description of Tbilisi geophysical observatory was recently published by Maia Mania.

Ms. Mania's research is closely with creation of the German colony in Tbilisi. German nationals, evicted into Georgia in 1817, 1818 and 1819 launched several fundamental projects in Tbilisi and other locations countrywide. One of the most notable representatives of the German community was scientist Arnold Moritz, who established a magnetic-meteorological observatory in Tbilisi. The complex was built in old Kukia district (crossing of present-day David Agmashenebeli and King Tamar Avenues near the bridge – at that time this area belonged to Kukia).

Ms. Mania carefully studied materials stored in Georgian national archive, Museum of Georgian Geophysical Sciences, Hydro-meteorological Institute, Georgian National Museum, National Center of Manuscripts and National Library. Her research, published in two languages – Georgian and English, is intended for a wide range of interested public. The publication was supported by Goethe Institute, based on the decision of director of which believed it important to publicize the contribution of German community to the life of 19th century Georgia.

LERI GOSHADZE





# ვულოცავთ იუბილარს!

**არქიტექტორ ჰამლეტ მოსულიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო**



ბატონ, ჰამლეტ მოსულიშვილს – არქიტექტურის დოქტორს, პროფესორს, აღმოსავლეთ ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის დამსახურებულ პედაგოგს, წელს, 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი ჰამლეტის შემოქმედებითი გზა 1954 წლიდან იწყება. რომელიც მრავალფეროვანი და ძალზედ საინტერესოა. შევეცდებით ქრონოლოგიურად, მოკლედ ავღწეროთ იგი.

1954-1957 წწ. ბატონი ჰამლეტი მუშაობდა ქ.ნალჩიკის საპროექტო ინსტიტუტში, ჯერ უფროს არქიტექტორად, შემდეგ პროექტის მთავარ არქიტექტორად. 1957 წლიდან 1968 წლამდე იყო ქ. ნალჩიკის მთავარი არქიტექტორი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალაქი ნალჩიკის კეთილმოწყობა-განაშენიანების საკითხების გადაწყვეტასა და განაშენიანება-განსახლების ნორმების გამოკვლევის სფეროში. არქიტექტორის მიერ დაპროექტდა და განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი.

აღსანიშნავია, რომ 1954 წლიდან არქიტექტორთა კავშირის წევრია.

1965 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი თეორიული კვლევის ძირითადი თემაა ქართული ხუროთმოძღვრება. ეს თემა არქიტექტორის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და შემდგომ უფრო ღრმად შესწავლის საგანი ხდება.

1970 წელს მიენიჭა ყაბარდო-ბალყარეთის „დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდება. ამავე წლიდან ბატონი ჰამლეტი მოღვაწეობას განაგრძობს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იგი არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტია.

70-90 -იან წლებში არქიტექტორის პროექტებით მრავალი საინტერესო ობიექტი განხორციელდა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა თუ სოფლებში. პარალელურად აგრძელებს მიზანდასახულ და სისტემატიურ თეორიულ კვლევებს ქართული ხუროთმოძღვრების, არქიტექტურული გრაფიკის საწყისების, არქიტექტურული ინფორმატიკის შესახებ.

1991 წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1992 წლიდან მოღვაწეობას აგრძელებს პროფესორის თანამდებობაზე.

1993 წელს მეცნიერი არჩეული იქნა აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. წლების მანძილზე არქიტექტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრია.

ჰამლეტ მოსულიშვილის ავტორობით გამოცემულია მრავალი ფუნდამენტალური მონოგრაფია. მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაშრომი - მონოგრაფია „ქართული ხუროთმოძღვრიული ორნამენტი“ 2005 წელს გამოიცა.

2008 წელს, არქიტექტურის სფეროში მოღვაწეობისათვის თბილისის მერიის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით.

**კოლეგები, ჟურნალი „სტილის“ რედაქცია ვულოცავთ ბატონ ჰამლეტს დაბადებიდან 80 წლის თავს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კვლავ შემოქმედებით წარმატებებს, რომლის გარანტი ყოველთვის იქნება არქიტექტორის პროფესიონალიზმი, უდიდესი შრომა და საქმისადმი უშრეტი სიყვარული.**

# Happy Anniversary!

STYLE MAGAZINE CONGRATULATES ARCHITECT HAMLET MOSULISHVILI ON HIS 80TH BIRTHDAY

Dr. Hamlet Mosulishvili – professor, vice-president of International Architectural Academy of Oriental Countries, distinguished teacher of the Institute of Architecture of Georgian Technical University, celebrates his 80th birthday.

Editorial staff of STYLE Magazine congratulates Mr. Mosulishvili and wishes him all the best wishes for good health and success in professional career, which is vouchsafed by the architect's high professionalism, diligence and commitment.

# Decor Lines პრეზენტაცია

კომპანია DecorLines-ის ჯგუფის წევრები 10 წელზე მეტია მოღვაწეობენ ინტერიერის დიზაინის, დეკორატიული, კონტურული და მხატრული ექსკლუზიური ღებვითი, სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე. ჩვენი კომპანიის მიერ, რომელიც საქართველოს ბაზარზე უკვე სამი წელია მოღვაწეობს,შექმნილი დეკორატიული ღებვითი ნიმუშები (ფინიშები), სხვადასხვა მასალის და საღებავის რამდენიმე შრისაგან შედგება.

ფაქტურისა და ფერის ფართო არჩევანი საშუალებას გაძლევთ თქვენი სურვილისა და გემოვნების მიხედვით შეარჩიოთ ინტერიერის სასურველი ზედაპირის ფაქტურა.

10 მაისს კომპანამ ჩაატარა პრეზენტაცია სადაც სიტყვით გამოვიდა კომპანიის დამფუძნებელი მალხაზ სააკაშვილი და მთავარი ტექნოლოგი მურად კუტივაძე, რომელთა მიერ მოხდა სრული იმფორმაციის მიწოდება დეკორატიული ღებვის ტექნოლოგიის და ინტერიერში მისი გამოყენების მეთოდებზე.

წარდგენილი იყო კომპანიის მიერ უკვე შექმნილი რამდენიმე პროექტი და ასევე დამსწრე საზოგადოებას მიეცა საშუალება ენახა მრავალი სახის ნიმუშები.



# Presentation of Decor Lines

Members of DecorLines company have been working on design, decoration, contour and artistic painting and refurbishing projects for over 10 years already. DecorLines, which got established as a business in Georgia three years ago, offers exclusive decorative painting performed on a range of different materials and applying several layers of paint.

Wide choice of textures and colors enables clients to pick what best matches their taste and requirements.

On May 10 2010 DecorLines arranged a presentation, delivered by company founder Malkhaz Saakashvili and chief technologist Murad Kutivadze, who supplied the audience with full information on decorative painting technology and ways of its application in interior design. Presentation covered several projects already realized by the company and showed samples of products and services offered by DecorLines.





RADIO SAKARTVELO LTD
SUCCESS IS GUARANTEED
TOTAL AUDIENCE
106.9 FM
FORTUNA
1997
2000
2004
2007

# სასარგებლო იპოთეკა




თანამონაწილეობა 0%-დან

## შექმენით თქვენი ოცნების სახლი

ბაზისბანკი
BASISBANK
სასარგებლო ბანკი

922 922
www.basisbank.ge